სპეციალური გაზეთი

№10 (787)
ოთხშაბათი
19 მარტი,
2025 წ.
ფასი 2 ლ.





მიშა მზეთუნახავი

17 მარტი „საერთო გაზეთის“ დამაარსებლის, პოეტისა და პუბლიცისტის, ვახტანგ ხარჩილავას დაბადების დღეა

ბატონი ვახტანგის საწუხარ-საფიქრალ-სადარდებელი მუდამ მისი და ჩვენი სამშობლო და ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი იყო, რის შესახებაც თავის წერილებში წერდა, თავის მკითხველს მუდმივად აფხიზლებდა და აიძულებდა, ეფიქრა. ამავე სულისკვეთებით იყო განმსჭვალული მისი პოეზიაც.

ბოლო დროს კი, როცა ავადმყოფობა მოეძალა, ბატონი ვახტანგი ძალიან წუხდა თავისი პირმშოს — „საერთო გაზეთის“ ბედზეც: „რა ეშველება ჩემს გაზეთს ჩემი წასვლის შემდეგ, ალბათ არსებობას შეწყვეტსო“, — უთქვამს ხოლმე გულისტკივილით. ამასვე ფიქრობდნენ ჩვენი მეგობრებიც და მკითხველებიც...

მაგრამ ბატონი ვახტანგის ზეციურ სასუფეველში გარდასვლის შემდეგ უკვე სამი წელი გავიდა, გაზეთი კი არსებობას განაგრძობს. ჩვენ — ქალბატონი თამარი, მისი მეუღლე, ახლა გაზეთის გამომცემელი და გაზეთის რედაქცია, ვცდილობთ, ბატონი ვახტანგის მიერ დაწესებული თამასა შევინარჩუნოთ და ამისთვის ყველაფერს ვაკეთებთ. მით უმეტეს, რომ იგი თითქოსდა მუდმივად ჩვენს გვერდით არის, გაზეთის კეთების პროცესს თითქოს „იქიდან“ ხელმძღვანელობს და მიმართულებას გვაძლევს, „გვკარნახობს“, რა როგორ უნდა გავაკეთოთ და თუ მის „მითითებებს მივყვებით“, ნომერიც „შედგება“ ხოლმე.

დაბადების დღეს გილოცავთ, ბატონო ვახტანგ!

•

ვერა გავაწყვეთ ბედისწერასთან,
თუმც თავის დახსნას ბევრჯერ ვეცადეთ,
ადის ზეცამდე ჩვენი წყევლა და
ვერ ადის ჩვენი ლოცვა ზეცამდე,
ვერ დაგაწყნარე და ვერ გიშველე,
ვერ მოვუვლინე შენს სულს მშვიდობა,
წყევლისგან არის ეს ქარიშხლები
და ცრემლებისგან – ეს წყალდიდობა.
ო, რა სასტიკი და რა კუშტია,
განკითხვის ბოლო დღეთა ზმანება.
გასკდება ერთხელ ეს ცა ბუშტივით,
ვეღარ დაიტევს ჩვენს მრისხანებას.
ვეღარ დაიტევს სიტყვებს მძვინვარეს,
ზიზღსა და კრულვას ვეღარ დაიტევს.
დაუნდობელო, გაუცინარო,
კაცთა მოდგმაო, მიხვალ საითკენ.
სისხლით ეს გული რით ვერ იჭერე,
ბალღამში სანამ უნდა იწვალო.
შენ სიძულვილის გამო ისჯები,
უსიყვარულო დედამიწაო.
მაინც დავმარცხდით ბედისწერასთან,
თუმც თავის დახსნას ბევრჯერ ვეცადეთ.
ადის ზეცამდე ჩვენი წყევლა და
ვერ ადის ჩვენი ლოცვა ზეცამდე.

მონოლოგი წარსულიდან

...უკანასკნელად ჩაქრა ვარსკვლავი,
უკანასკნელად ჩაქრა კაშკაშით,
შუბზე ამაგეს და დროშასავით
ამაფრიალეს უცხო ლაშქარში.
ვის წაჰყვა ჩემი ცოლი და ძაღლი,
ნეტა ვინ აღებს ბჭისკარს ჭრიალით,
ჩემს ძვლებს, გაჟვერილ თივაზე დაყრილს,
ვისი ურემი მიაჩხრიალებს,
ქვეშ ვის უგია ჩემი ნაბადი,
დევის ტყავივით ტანს რომ მეხვია,
მტრის გუთნისდედა ალბათ მარაბდას
ხნავს და ჩემი ძე მისი მეხრეა.
სამარადისოდ სხვამ დაიტოვა:
(მე მტვრიან ბინდში უნდა ვიარო)
ცა – ნათხოვარი ლურჯი მინდორი,
უფლისგან ღამე სახეტიალოდ,
ჩემი ფიალა ან ვინ დასცალოს,
ნორჩი ვენახი ვინ გამიხაროს,
ანდა უმზეომ და უვარსკვლავომ,
რით გავითენო, რით დავიღამო.
ვის ერდოზე ჰყეფს ერთგული ძაღლი,
ვიღას უმშვენებს ცოლი მზიანეთს,
ჩემს ძვლებს, გალუმპულ თივაზე დაყრილს,
ვისი ურემი მიაჩხრიალებს.

შენ შეცდენილი ხარ ანგელოსი

შენ შეცდენილი ხარ ანგელოსი,
მხრებზე ციური შუქი გაყრია.
შენ შეცდენილი ხარ ანგელოსი,
მაგრამ რატომღაც ქალს გეძახიან.
უცხოს და ცისფერს ბრბო ვერ აიტანს,
ბაღს გაგითელავს და აგიოხრებს,
შენ გამოგძერწა ზეცამ მთვარიდან,
ქალის ტანით და ქალის მიმოხვრით.
და მოგისაჯა მამრის გაოფლილ,
ხარბ, გაუმაძღარ სხეულთან იწვე,
შენც სასჯელს იხდი,
შორს მოგალობე
ჩიტების გუნდი მიფრინავს მზისკენ.
შენ თეფშებს რეცხავ, ახურებ ღუმელს,
დახრულ იატაკს ხეხავ ჯაგრისით,
რომ დაემსგავსო ოჯახზე მზრუნველ
და მოფუსფუსე დიასახლისებს,
მერე შლი ლოგინს, ასწორებ ბალიშს,
წვები ალერსის მაცდური ნიღბით,
და ბედნიერი გეხვევა ქმარი,
ქმარმა რა იცის, რომ სასჯელს იხდი.

შემოდგომა პროვინციაში

ქალაქის თავზე წვიმის ლელია,
ქალაქის თავზე ქარი აქანებს წვიმის ღეროებს,
– სიცოცხლე მით უფრო მშვენიერია,
რომ არ მოდის წვიმასავით მეორედ.
ფანჯარასთან ქალი დგას საღამურით.
ცივი, შემოდგომის საღამოა,
კითხვა: – ქმარი როდის დაბრუნდება?
პასუხი: – ზეგ დილამდე აღარ მოვა.
წიგნების კარადაში „ფორსაიტების საგა“,
ჟორჟ სანდი, მარკესი და მორიაკი.
ორი ქართველი – ბესო და მაკა,
თავს ირთობს სიყვარულით,
წვიმით და კონიაკით.
მეოცე საუკუნის ოთხმოცდაორი წელია,
დრო აუჩქარებლად თავის ბადეს ლამბავს,
წვიმს, ქარი აშრიალებს წვიმის ლელიანს,
ერთმანეთს ცვლიან „ბონი ემი“ და „აბბა“,
აქ არც ზღვა არის და არც მთის აგარაკი,
ხშირია მოწყენა და შეჭირვება.
მაგრამ იხტიბარს არ იტეხს პატარა ქალაქი,
დიდ და შორეულ ქალაქებს ეჯიბრება.

ჩვენს ძვირფას მეგობარს, ვახტანგ ხარჩილავას ვაჟს, ჩვენი გაზეთის გულშემატკივარს, აქტიურ და სამართლიან „ცენზორს“, კეთილშობილ, წესიერ, სანდომიან ადამიანს, კარგ მენეჯერს, ჩვენი დედაქალაქის იმედსა და ბურჯს, ჩვენს საყვარელ

დავით ხარჩილავას

ვულოცავთ დაბადების დღეს.

ვუსურვებთ მზეგრძელობას, ყოველგვარ სიკეთეს, პროფესიულ წარმატებებს და ბედნიერებას საყვარელ ოჯახთან ერთად.

„საერთო გაზეთი“

ჩვენს ძვირფას ერთგულ თანამშრომელს გაზეთის დაარსების დღიდან, თავისი საქმის პროფესიონალს, კომერციულ დირექტორს, საიმედო, უღალატო ადამიანს, ყველა კარგი საქმის მოთავეს, შესანიშნავ მეოჯახეს, არაჩვეულებრივ მამასა და მეუღლეს

ბესო ცარციძეს

ვულოცავთ დაბადების დღეს.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, სიკეთეს, სიხარულსა და ბედნიერებას საყვარელ ოჯახთან ერთად.

„საერთო გაზეთი“

მოკვდა ცხენი, მოკვდაააა!

დაიჯესტი: კვირიდან კვირამდე

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ანდრეი სიბიგამ მარკო რუბიოს საბრძოლო მასალის ყუთის თავსახურზე დაწერილი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი აჩუქაო, — დააფრიალებენ ფოტოს, - აი, როგორი მორწმუნე ქრისტიანი ხალხი ვართ ჩვენცო. მოიცა, კაცო, კიევ-პეჩორის ლავრა მე გავძარცვე და მე გამოვყარე ქრისტიანი მღვდლები იქიდან, თუ მე დავაკავებინე ხელში ღვთისმშობელს „ჯაველინი“ და მე ამოვუჭერი ღვთისმშობელს ყრმა იესო ვითომ იმის გამოსახატავად, რომ ომმა ბავშვები დაგვიხოცა...

ჰოდა, ახლა გერმანიის დაზვერვის „ჯაველინიანმა“ უფროსმა, ბრუნო კალმა დაიცვას უკრაინა, რომელმაც ინტერვიუს მიცემისას თქვა, რომ უკრაინამ 2030 წლამდე უნდა იომოს, რათა რუსებს არ შეეძლოთ ევროპაზე ყურადღების გადატანა და რომ ეს დრო, მათ, ევროპელებმა შეიარაღებისა და სამხედრო ინდუსტრიის გასაუმჯობესებლად უნდა გამოიყენონ. მამაცხონებულებს, რაც მაგათ ლგბტ პროპაგანდაზე და ტრანსგენდერების გაშრიალებებზე ფული ხარჯეს, თუ მთლად „ორეშნიკს“ ვერა, სამ-ოთხ ტანკს მაინც გამოადნობდნენ.

წლის ანეგდოტი: არაბეთში ერთმანეთს შეხვდნენ უკრაინაში ომის ორგანიზატორი და შემსრულებელი, რომელთა მიზანია, „დაამყარონ ომი“ უკრაინაში 2030 წლამდე და გადაწყვიტეს, რომ 30-დღიანი ცეცხლის შეწყვეტაზე უარს არ იტყვის პუტინი, ჩვენ კი ამასობაში იარაღსაც შემოვზიდავთ და საჯაშუშო სამსახურების მიერ მოპოვებულ მასალებსაც მოგაწვდითო. ნეტავ, ვის რა ჰქონდა მოწეული ან შეყნოსილი?

პუტინი უარს არ იტყვისო და, აგე, ვერა თქვა?

ლიეტუვის თავდაცვის მინისტრს, ალიოშა კაპანაძე კი არადა, ალ კაპონე გაახსენდა, ერთადერთი კარგი მოლაპარაკება ის არის, როცა მაგიდაზე იარაღი გიდევსო. დადო მაგიდაზე იარაღი პუტინმა და საჯაროდ თქვა, დამიყენეთ სამიზნე და ყველა საშუალებით დაიცავით, არ გაინტერესებთ, რა მოხდებაო? — მეტი რაღა იარაღი დადოს, ნეტავ?

მისი წინამორბედი, მისნაირივე სულელი ბერბოკი იყო და სხვა წინამავალები იმდენნი არიან, სათვალავი ამერია. საინტერესოა, სულ რამდენი სულელია ე. წ. დასავლეთში?

მე მახსოვს და მათ არ ახსოვთ სერგეი ლავროვის გაოცება? კაცი გაოგნებული იყო, რუსეთმა თუ რამე გადაწყვიტა, არ შეიძლება ხმობს, რომ უკრაინაში ომი 2030 წლამდე უნდა გაგრძელდეს, ნეტავ, მართლა ეგონათ, რომ პუტინს „მოეწონებოდა“? ახლა არკვიონ, ფრონტის ხაზზე პუტინი ჩავიდა, თუ მისი ორეული...

მაკრონის ცანცარობაზე პუტინს ნაპოლეონი გაახსენდა... „ბურთი რუსეთის მოედანზეაო“, — ერთი ჩაახატოვნა რუბიომ და პასუხად ოდესა დაიბომბა.

რას გაიგებ, როცა ისტორიას არ სწავლობს ვინმე, ისტორია მას განმეორებით აძლევს იგივე დავალებას...

პუტინმა რომ განაცხადა, ცეცხლს მხოლოდ მაშინ შევწყვეტ, თუ უკრაინა სრულად გაიყვანს კონკრეტული ოთხი ოლქიდან (ლუგანსკი, დონეცკი, ხერსონი, ზაპოროჟიე) ჯარებს და ღიად განაცხადებს უარს ნატო-ს წევრობაზეო. ახლა რაღას იტყვის, ნეტავ, როცა ბრიტანეთის პრემიერი აშშ-უკრაინის მოლაპარაკებებში მიღწეულ პროგრესს ესალმება? ისე, რაღა განხილვა უნდა, რუსეთის გარდა, ყველამ განვიხილეთ...

„ეფრემ ვერდისა“ არ იყოს, „თუ მარცხენა თვალი გითამაშებდეს, ხიფათს ელოდეო“, — როდესაც ბრიტანეთი კმაყოფილია, უბედურებას უნდა ელოდეს ადრესანტი...

ამ ლუკაშენკოს დიქტატორობისა კიდე, როდემდე უნდა მშურდეს? ორი საათი ლაპარაკობდა და თვითონ რაღაცეებს წყვეტენ რუსეთის გარეშე, რაც რუსეთს ეხება, ეს რა წამოიწყესო. ჰოდა, ის „30 დღე“, რომელიც გულისმოსკოვში და, ბელარუსი უახლოეს მომავალში რუსეთის ნაწილი არ გახდებაო; „ორეშნიკი“ მალე ბელარუსის არმიას მოემსახურებაო; რუსეთსა და ბელარუსს შორის ერთიანი ვალუტის შემოღება საჭირო არ არისო; ბელარუსს კარგი ურთიერთობა სურს ევროპასა და აშშ-სთან, მაგრამ რუსეთთან ურთიერთობა ყოველთვის პრიორიტეტული იქნებაო.

იქით რა ხდება და, დასრულდა გაერო-ს უშიშროების სხდომა სირიასთან დაკავშირებით, რომელიც აშშ-ისა და რუსეთის მოთხოვნით იყო ინიცირებული. სახელმწიფოების უმეტესობამ სასტიკად დაგმო ყოფილი ტერორისტების, აწ უკვე „პროგრესული“ ადამიანების არაადამიანური მოქმედებები. არ გაგიკვირდებათ და, 25-მა ზეპროგრესულმა „შიგ ევროპულმა“ ქვეყანამ თავი შეიკავა სირიელების ქმედების დაგმობისგან. მოკლედ, ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე უკრაინასა და მოლდოვას შემდეგ, სირიამაც გადაუსწრო საქართველოს.

ამასობაში, თურმე „ყოვლად დაუდგენელი“ პირები დაუკავშირდნენ ამერიკელ ჟურნალისტს, ქენდის ოუენსს და „დაბაზრება“ სცადეს, — შეეშვი მაკრონის ცოლის სქესზე ლაპარაკს და ერთბაშად 4 მლნ დოლარს ჩაგახუტებთ, შემდეგ კი, ყოველთვიურად 50 000 დოლარი ჩაგერიცხება სიცოცხლის ბოლომდეო. ვისი სიცოცხლის ბოლომდეა საუბარი, ამას დაზუსტება უნდა, მაგრამ ეს თუ სიმართლეა, ორი თავი აქვს ქენდის ოუენსს? ცხადია, მესმის, ეს პატივცემული ჟურნალისტი აქამდე რატომ არ გახდა უბედური შემთხვევის მსხვერპლი, მაგრამ, მაინც...

ამასობაში უნგრეთი მოიქოქა, მმართველი პარტია საკონსტიტუციო ცვლილებას გეგმავს, რომელიც უნგრეთიდან ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირების გაძევებას ითვალისწინებს, თუ ხელისფლება მიიჩნევს, რომ ისინი უნგრეთის სუვერენიტეტს, წესრიგს, უნგრეთის ტერიტორიულ მთლიანობას და უსაფრთხოებას საფრთხეს უქმნიან. ე, ბიჯო, „ოცნება“, მიბაძეთ უნგრეთს!

ისა და, ნატო-ს გენმდივანმა რუტემ რატომ თქვა ასე მკაცრად, უკრაინის ნატო-ში გაწევრიანება აღარ განიხილებაო. აბა, რას შეაწყვიტეს ამდენი ხალხი? ისა და, „ოცნებას“ ვინ ჰკითხავს — დანაშაულებრივად შეტენილი 78-ე გარდამავალი მუხლი ე. წ. ევროინტეგრაციის შესახებ, როდის უნდა ამოგლიჯონ კონსტიტუციიდან! ხალხს უკვე გვრცხვენიაღა...

მოკლედ, რუტემ ბევრი იფიქრა თუ ცოტა იფიქრა, თქვა, რუსეთთან ურთიერთობები ეტაპობრივად უნდა აღვადგინოთ, რადგან რუსეთი არსად მიდისო. „ოცნება“, გაიგონე?

უცბად ტრამპმა დაახეთქა, ევროკავშირი ძალიან საზიზღარიაო და განმარტა, რატომაც.

რა ვქნა, დონალდი ბიძია, ამდენი წელია, მაგას გავიძახი მეც, მაგრამ არ ესმის „ოცნებას“ და ძალაა? ჩამოუკიდიათ ჰერჩინსკის სურათი და მთელი ევროკავშირის ტრფობით მასზე ლოცულობენ...

ჯეი დი ვენსმაც არ დააკლო, ევროპას ცივილიზაციური თვითმკვლელობა ელოდებაო და სხვათა შორის, იგივეს ვიტყოდი აშშ-ზე ერთი წლის წინათო. მოდი და ნუ დაეთანხმები!..

ამასობაში გრენლანდიაში არჩევნები ჩატარდა და შედეგები ასეთია: „ეს ჩვენი ჯანიანი მეზობელი უშნოდ რომ გვეარშიყება, როგორ მოვიქცეთ, ნახევარი დაუწვეს და მეორე ნახევარმა უყუროსო?“ ტრამპი კი გადაწყვეტილად ამბობს, რაზეც თვალი მიჭირავს, ჩემი გახდებაო. პუტინი ეუბნება, „კაი ბიჭები“ მოვრიგდებითო, სი ძინპინი კი სათნოდ იღიმება, მშვიდობიანი მორიგებები მხიბლავსო...

როგორც ჩანს, ტრამპიც ძალიან შეაღონეს ბოროტმა მედიებმა. ჰოდა, უდრტვინველად მოაწერა ხელი განკარგულებას, რომლის მიზანი შვიდი ფედერალური სააგენტოს გაუქმებაა. მათ შორის არის „ამერიკის ხმა“, რადიო „თავისუფლება“ და აშშ-ის მთავრობის მიერ დაფინანსებული სხვა მედიასაშუალებების ზედამხედველი სააგენტოებიც.

ევროპიდან ორბანმა მისცა ბანი — დროა, განადგურდეს იმ არასამთავრობოების, ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების ჩრდილოვანი არმია, რომლებიც ანაზღაურებას აშშ-იდან და ბრიუსელიდან იღებენო.

ე, ბიჯო, საქართველოშიც იტრამპეთ, ან იორბანეთ ვინმემ!..

სახემოქცეულ რობინ დანიგანს უცილებლად ექნებოდა გაფიქრებული, — აფსუს, რა დრო იყო, იქით გამოვიძახებდი, როცა მოვისურვებდი და ვისაც მოვისურვებდი, ან მე თვითონ დავადგებოდი, როცა მომეხოშებოდა, ჭირი ეცეთ ტრამპს, ვენსის და რუბიოს ერთადო.

ხოხ, ბიჯო, რას ვიცინებდი, ქალბატონ ბოჭორიშვილს ღიმილით რომ ეთქვა, ძვირფასო რობინ, ვატყობ, შარვალში უფრო მოხერხებულად გრძნობთ თავსო, ან, მეც მიხდება შარვალი, მაგრამ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ვერიდები მის ჩაცმას, განსაკუთრებით, ჭყეტელა ფერებისასო... არაბეთში, ბერბოკის თეთრი შარვლისა არ იყოს, ფოტო-ვიდეოზე ბინდს დაადებდნენ დანიგანს შარვალზე, მაგრამ საქართველო ხომ არაბეთი არ არის...

რუბიოზე გამახსენდა — კანადაში რომ გაემგზავრა G7-ის შეხვედრაში მონაწილეობისთვის, ნეტავ, მართლა პროტოკოლის უფროსი დახვდა და წითელი ხალიჩის ნაგლეჯი დაუფინეს ტრაპიდან ჩამოსულს? რა ვიცი, ისეა გააფერისტებული სამყარო, რომ ვეღარ ვარჩევ ტყუილ-მართლს, თუ ჩემი თვალით არ ვნახე, ყველაფრის ვარაუდში ვარ...

ნეტავ, რა ხასიათზე დადგნენ აშშ-ის ელჩის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან სტუმრობისას „ლეგიტიმური შიგევროპელები“-მეთქი, ამის გაფიქრებაც ვერ მოვასწარი და ატყდა კიდევაც გნიასი.

ᲒᲐᲒᲠ. →

ომის დასრულება „დიფსტეიტის“ ინტერესებში არ არის

გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:

— ქალბატონო ნანა, ოპოზიცია ხალხს ისევ ქუჩისკენ უბიძგებს და უცხოელ „პატრონებთან“ ერთად, ახალი არჩევნების ჩატარებას დაჟინებით ითხოვს...

— ხელისუფლებიდან ოპოზიციაში გადასვლის დღიდან მოყოლებული, ეს ხალხი სახელმწიფოს ჩამოშლაზეა ორიენტირებული. მიზანი დესტაბილიზაცია, ქვეყნის არევაა. ამიტომაც აყენებენ აბსურდულ მოთხოვნებს. არადა, კარგად იციან, რომ მათი მოთხოვნები ვერ შესრულდება, რადგან ხელახალი არჩევნების ჩატარებას, ან პატიმრების ციხიდან გამოშვებას, არანაირი იურიდიული საფუძველი არ აქვს. გაუგებარია, თუ ეს დამნაშავეები უნდა გათავისუფლდნენ, დანარჩენმა პატიმრებმა რა დააშავეს? ამ ლოგიკით, ციხე აღარ გვჭირდება?! ასე რომ, ამ მოთხოვნებს იმიტომ კი არ აყენებენ, რომ მათი შესრულების იმედი აქვთ, არამედ დესტაბილიზაციის გამოწვევის საბაბით. თანაც ცდილობენ, გაუცნობიერებელი ხალხის ნაწილი ამ აბსურდული მოთხოვნების რეალობაში დაარწმუნონ, ქუჩაში გამოიყვანონ და მერე ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭირონ.

— ოპოზიციაში ზურაბიშვილის მიმართ საყვედურები გაისმის, თუმცა თავად საკოორდინაციო საბჭოს ქმნის და ახალი არჩევნებისთვის ემზადება...

— ზურაბიშვილს სურს, სააკაშვილი ჩაანაცვლოს, რათა დასავლეთმა ფსონი მიშაზე კი არა, მასზე დადოს. იგი ცდილობს, მნიშვნელოვან ფიგურად ჩამოყალიბდეს, რადგან ჩვენთან პოლიტიკაში ყოფნა ერთგვარი ხელშეუხებლობის გარანტიად იქცა. თუ პოლიტიკაში ხარ, რაც უნდა დანაშაული გქონდეს ჩადენილი, არავინ დაგიჭერს. ეს გათვლა აქვს ზურაბიშვილსაც — თუ პოლიტიკაში სერიოზულ ფიგურად იქცევა, მაშინ მას პრეზიდენტობისას ჩადენილი კანონდარღვევებისთვის არავინ დასჯის. დიახ, მას უნდა, სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან დაცული იყოს.

— ოპოზიციის ერთობა ვერ შედგა, რაც ხან გახარიას ბრალდება და ხან — სხვებს. რეალურად რა ხდება?

— არც გაერთიანებას და არც დაშლას, ოპოზიციას არავინ ჰკითხავს. ისინი უცხოეთიდან იმართებიან, რა დავალებასაც მიიღებენ, იმის მიხედვით გაერთიანდებიან და დაიშლებიან. თუ დავალება სალომეს ქოლგის ქვეშ გაერთიანება იქნება, ასეც მოიქცევიან. ჯერჯერობით არ ჩანს, რომ გარედან რაიმე დირექტივა აქვთ მიღებული. ისინი დამოუკიდებლად გადაწყვეტილებებს ვერ იღებენ, რადგან დასავლეთის მარიონეტები არიან, რომელთა მიზანი საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებაა.

— ოპოზიცია ხშირად აპელირებს იმაზე, რომ მათ ევროსტრუქტურებში აქტიურად იწვევენ, „არალეგიტიმური“ ხელისუფლება კი იზოლაციაშია მოქცეულიო...

— დასავლეთი ევროსტრუქტურებში თავიანთ აგენტებს იწვევს. გახსოვთ, სააკაშვილი რომ ამბობდა, ჩვენ ერთი გუნდი ვართო. ეს ოპოზიციაც და მისი პატრონებიც ერთი გუნდი არიან. პატრონებში არა მთლიანად დასავლეთს, არამედ მის ფაშისტურ-ლიბერალურ ფრთას ვგულისხმობ, ანუ, მათ დამქირავებლებს. სწორედ ევროპის ამ ნაწილს უპირისპირდება ღიად არამარტო ჩვენი ხელისფლება, არამედ თავად ტრამპი. იგი ევროკავშირის მავნებლობაზე პირდაპირ საუბრობს. დიახ, ვიზიტებსაც დასავლეთი უფინანსებს, ახალ-ახალ დავალებებსაც იღებენ, რაც საქართველოს დასუსტებასა და ჩამოშლაზეა ორიენტირებული.

— ჯო უილსონი ლეგიტიმურ ფიგურად ზურაბიშვილს ცნობს. როგორ ფიქრობთ, როდის მოხდება ამერიკასთან ურთიერთობების გადატვირთვა?

— ტრამპის ყურადღება ახლა, ერთი მხრივ, მიპყრობილია „დიფ სთეითის“ განადგურებაზე, მეორე მხრივ — ამერიკის გაძლიერებაზე, სახის შენარჩუნებაზე, რისთვისაც აუცილებელია, უკრაინაში ომი რაც შეიძლება, მალე დამთავრდეს. ეს ორი საკითხია მისთვის უმთავრესია. საქართველოსთვის ჯერ ასეთი მასშტაბით არ მოუცლია, მაგრამ მთელი მისი განცხადებები, საქმიანობა ჩვენს პოლიტიკაზე წყლის დასხმაა. ბოლო სამი წელიწადია, საქართველოს ხელისუფლება აქტიურად საუბრობს ოჯახური ფასეულობების დაცვაზე, რაც ახლა ტრამპისგან გვესმის.

— პრემიერმა განაცხადა, ტრამპსა და „დიფ სთეითს“ შორის რთული ბრძოლა იქნებაო. როგორია ამ ბრძოლის გადასახედიდან მშვიდობის პერსპექტივა?

— მშვიდობის დამყარება და „დიფ სთეითის“ დასუსტება ერთმანეთთან პირდაპირ კავშირშია, რადგან ეს იგივე გლობალური ომის პარტიაა, რომელიც მუდმივ არეულობაზეა ორიენტირებული. ომის დასრულებით მათი გავლენები, ფინანსები შემცირდება. ასევე, უზარმაზარი ფული კეთდება იარაღში. ამიტომ, ომის დასრულება „დიფ სთეითის“ ინტერესებში არ არის.

— თუ მშვიდობის დამყარება ვერ მოხერხდა, რა საფრთხე ელის საქართველოს?

— მაშინ საქართველოს კი არა, მსოფლიოს ელის სერიოზული საფრთხე. რუსეთი შეუქცევადი ძალაა და ბოლომდე ბრძოლაზე მიდის. ამერიკას არ აწყობს, რომ უკრაინა რუსეთმა აიღოს, მერე ლაპარაკი აღარ იქნება აღარც ძვირფას ლითონებზე, აღარც ტერიტორიებზე. აქედან გამომდინარე, ამერიკის ინტერესებშია, ომი როგორმე დროზე დამთავრდეს.

— ომში ჩვენი ჩართვის საკითხი კვლავ აქტუალურია?

— ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში, ეს საფრთხე ნაკლებია, თუმცა, „დიფ სთეითი“ გამალებით იბრძვის იმისთვის, რომ ჩვენ ომში ჩავერთოთ.

— ტრამპმა ორგანიზაციების „იუესაიდისა“ და „ნედ“-ის მუშაობა დროებით შეაჩერა. ოპოზიცია ამ ორგანიზაციებიდან რევოლუციური პროცესების მოსაწყობად თანხებს ვეღარ მიიღებს. ამით საფრთხე იხსნება?

— ტრამპის ამ ნაბიჯით ოპოზიციას ორი ორგანიზაციიდან შეუჩერდა დაფინანსება, მაგრამ ევროპიდან წამოსული თანხები ისევ მოეწოდებათ. ანუ, „დიფ სთეითის“ დახმარება არსად წასულა. თუმცა „იუესაიდის“ და „ნედ“-ის დაფინანსების შეჩერებით, ამ ძალებმა სერიოზული დარტყმა მიიღეს. სულ მცირე, შესუსტდნენ, რაც საბოლოოდ, მათ განადგურებასაც გამოიწვევს. ტრამპს შეუძლია მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსებით გაცემული გრანტები შეაჩეროს, მაგრამ კერძო დაფინანსებაც ხომ არსებობს. ასე რომ, ეს საფრთხე ჯერ ამერიკიდანაც არის და ევროპიდანაც. ამ დროს კი, „ფარას“ კანონი, რომელიც ხელისუფლებამ დაარეგისტრირა, ისევ აქტუალურია.

— ხელისუფლებამ „ფარას“ კანონი გაამკაცრა. განახლებული ვერსია რას შეცვლის?

— ის კანონი, რომელიც აქამდე გვქონდა, არასამთავრობო ორგანიზაციებს ბევრს არაფერს ავალდებულებდა. „ფარა“ სერიოზული დოკუმენტია, რომელიც საშუალებას იძლევა, გარედან ქვეყანაში შემოსული ყველა თანხა გაკონტროლდეს, რათა ის ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას არ მოხმარდეს. ამჯერად გამჭვირვალობა სავალდებულო იქნება. გრანტების მიმღები ორგანიზაციები ვალდებულნი იქნებიან, თქვან, საიდან იღებენ და რაში იხარჯება მათთვის გამოგზავნილი თანხები.

აქვე მნიშვნელოვანია მედიის კანონის გამკაცრებაც. აქამდე მედიას მიაჩნდა, რომ კანონი მისთვის პრივილეგია უნდა ყოფილიყო. ზოგადად, კანონები პრივილეგიისთვის კი არა, თანაბრობის მინიჭებისთვის არსებობს. როგორც მედიას აქვს თავისი უფლებები, ისევე აქვს მაყურებელსაც — მან მართალი ინფორმაცია უნდა მიიღოს და არა ცრუ, ფეიკი, რითაც სავსეა ჩვენი ოპოზიციური ტელეარხები. ისინი დასავლეთიდან ფინანსდებიან, რაც ახალი კანონმდებლობის თანახმად, იკრძალება. ბრიტანული კანონმდებლობა სწორედ გამჭვირვალობას უწყობს ხელს. ტელევიზიები ეროვნული ფულით უნდა დაფინანსდეს. მათ სწორედ ეს არ აწყობთ, თორემ განა ბრიტანული კანონმდებლობის საწინააღმდეგო აქვთ რამე. ისინი ისეთ კანონებს ეწინააღმდეგებიან, რომელიც ქვეყნის ინტერესებს იცავს. აქამდე „მედიის შესახებ კანონში“ დაცვითი მექანიზმი ჩადებული არ იყო, პირიქით, მედია პირდაპირ სახელმწიფოს განადგურებაზე მუშაობდა.

— ცვლილებები ნარკოპოლიტიკის კანონშიც შედის. პრემიერმა აღნიშნა, რომ ნარკოტიკის მოხმარება მოდურად აქციეს და მათ საპირისპირო უნდა ავუხსნათო...

— მე მომხრე ვარ, რომ კანონმდებლობა ლიბერალური იყოს, მაგრამ ნარკოტიკის მიმართ ლიბერალური დამოკიდებულება სახელმწიფოს დაზიანებას იწვევს. თითოეული მოქალაქის სიცოცხლის ხელყოფა, მათი არაადეკვატურობა ნარკოტიკული ზემოქმედების გამო, პიროვნების და გარშემომყოფთა დაზიანებას იწვევს. ამ კანონში მართლაც სერიოზული რეგულაციები და აკრძალვები უნდა ჩაიდოს. დღეს ნარკომანია გრიპივით არის მოდებული.

— 31 მარტს ოპოზიცია ზურაბიშვილთან ერთად დიდი აქციისთვის ემზადება...

— 31 მარტი დამოუკიდებლობის, რეფერენდუმის დღეა და, ალბათ, ჩათვალეს, რომ პიარისთვის საუკეთესო დღეა. მთავარი ის არის, რომ ხალხი გარეთ ვერ გამოჰყავთ. რა ხანია, ორასი კაცით წინ და უკან დადიან. ხალხმა უკვე გაიგო, სად არის ტყუილი და სად — სიმართლე. თავიდან ვიღაცებს მართლაც სჯეროდათ ოპოზიციის, მერე დაინახეს, რომ ყველაფერი ტყუილი იყო და მათ აღარ მიჰყვებიან. არ მაქვს მოლოდინი, რომ 31-ში დიდი რაოდენობის ხალხის შეკრებას შეძლებენ.

— როგორ ფიქრობთ, რატომ გართულდა ოპოზიციისთვის ხალხთან კონტაქტის დამყარება?

— სწორედ ტყუილზე დაფუძნებული პოლიტიკის გამო და იმიტომაც, რომ ხალხის ინტერესების ნაცვლად, ისინი საკუთარ მერკანტილურ ინტერესებზე ფიქრობენ. ხალხი ხედავს, რომ ოპოზიციას ის საერთოდ არ ანაღვლებს.

— წინა კვირას სასამართლომ ცხრა მილიონის გაფლანგვისთვის, სააკაშვილს ცხრა წელი მიუსაჯა...

— მას გაცილებით სერიოზული დანაშაულები აქვს ჩადენილი, ვიდრე ბიუჯეტის თანხის გაფლანგვაა. ეს ერთი ეტაპია. სამართლიანობის აღდგენა დაიწყო. სააკაშვილის პატიმრობა იმაზე მეტყველებს, რომ დღეს კანონის წინაშე პრივილეგირებული აღარავინ არის — თუ კანონს დაარღვევ, პასუხიც უნდა აგო. სააკაშვილი ამისთვის მზად უნდა იყოს. მას ეგონა, რაც უნდა დაეშავებინა, ყველაფერი შერჩებოდა. ამიტომაც გააუქმა სისხლის სამართლის კოდექსში სამშობლოს ღალატის მუხლი — ახალი ხელისუფლება რომ მოვიდოდა, ამ მუხლით ვეღარ გაასამართლებდნენ. დღეს ხელისუფლება სააკაშვილის კი არა, სახელმწიფოს გადარჩენაზე ფიქრობს.

— თვითმმართველობის არჩევნები ახლოვდება, მიიღებს ოპოზიცია მასში მონაწილეობას?

— ალბათ, ახლა მწარედ ნანობენ, პარლამენტში რომ არ შევიდნენ, არ ელოდნენ მოვლენების ამგვარ განვითარებას. თვითმმართველობის არჩევნებშიც, რა თქმა უნდა, მონაწილეობას მიიღებენ. ისე, პარლამენტისთვისაც და საზოგადოებისთვისაც, მათი საკანონმდებლო ორგანოში არშესვლა საუკეთესო გადაწყვეტილება იყო.

თამარ შველიძე

დრო, ოპოზიციამ გააცნობიეროს: საქართველო მათი სამშობლოც არის!

გვესაუბრება „საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის“ თავმჯდომარე, პოლიტოლოგი ალი ბაბაევი:

— ბატონო ალი, ტრამპის მოსვლის შემდეგ მსოფლიო ახალ დღის წესრიგზე გადადის. სად ხედავთ საქართველოს ადგილს ამ გადანაწილებაში?

— პირველ რიგში, მინდა მართლმადიდებელ ქრისტიანებს აღდგომის მარხვის დაწყება მივულოცო. ასევე, ისლამური სამყაროც რამადანს (მარხვის თვე) დასაწყისს აღნიშნავს. რაც შეეხება მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, მართლაც სერიოზული ცვლილებები ხდება — ახალი მსოფლიო წესრიგი მყარდება. დასავლეთის ლიბერალური ძალები, ოჯახური ფასეულობების დაცვის, ქრისტიანული რელიგიის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. ტრამპმა ის საერთაშორისო ინსტიტუტები, რომელიც პატარა ქვეყნებს დემოკრატიის განვითარების ნაცვლად, რევოლუციურ პროცესებს უფინანსებდნენ, დახურა. ამ ორგანიზაციებმა საქართველოში დემოკრატიულად ჩატარებული არჩევნები უარყვეს. არადა, 2024 წლის არჩევნები მსოფლიოში ერთ-ერთია, რომელიც დემოკრატიულად ჩატარდა, რაც ეუთო/ოდირმაც დაადასტურა. მე არჩევნებში ყოველთვის აქტიურად ვმონაწილეობ. 2012 წლამდე ადგილი ჰქონდა გაყალბებას, პედაგოგების დაშინებას, ორგანიზაციებს პირდაპირ ეუბნებოდნენ, რამდენი ხმაც სჭირდებოდათ. მაგალითად, მოლებს ავალებდნენ, ოჯახებში ყურანით მისულიყვნენ და მოსახლეობა ეიძულებინათ, ყურანზე ხელის დადებით დაეფიცათ, რომ 5 ნომერს შემოხაზავდნენ. მაშინ „გამჭვირვალობა საქართველოსთვის“ და სხვა ნჯო-ები ამ გაყალბებულ არჩევნებს აპიარებდნენ და დემოკრატიულს უწოდებდნენ. 2012 წლის მერე ვითარება მკვეთრად შეიცვალა და ყოველწლიურად უმჯობესდება.

ტრამპის მოსვლამ ხალხს სტიმული მისცა, რომ ის ეროვნული ფასეულობები, რაც ამა თუ იმ ქვეყანას გააჩნია, დაცული იქნება. საქართველო ტრადიციული რელიგიების ქვეყანაა. რელიგიურ ნიადაგზე შუღლი აქ არასდროს მომხდარა. ყველა რელიგიას პატივს სცემენ. ოჯახის სიწმინდე მოსახლეობისთვის მთავარი ფასეულობაა, რაც მილიონზე მეტი ადამიანის გარეთ გამოსვლამ დაადასტურა კიდეც. ახლა შევხედოთ, რა ხდება მეორე მხარეს? — ლიბერალები ქუჩაში გამოდიან და ქართულ სახელმწიფოზე შეტევას ახორციელებენ. 2007 წლის 7 ნოემბრიდან მოყოლებული, სულ მიტინგზე ვდგავარ. ვერ ვიხსენებ, აქციების დროს, თუნდაც ერთი პოლიციელი დაშავებულიყოს. ჩვენ კი გვცემდნენ, მაგრამ მათ წინააღმდეგ ხელი არასდროს აგვიწევია. ახლა კი პოლიციელების მიმართ სრული ვანდალიზმი ვიხილეთ. საქართველოში მყოფ ელჩებს, იგივე, ევროკავშირის ელჩს, ამაზე რეაქცია არ აქვთ. თვალებდახუჭული დადიან, თუ რატომ ვერ ამჩნევენ, რა დღეში ჩააგდეს პოლიციელები „მშვიდობიანმა“ მომიტინგეებმა? 105-მდე პოლიციელი დასახიჩრდა, თავად ვნახე, ერთ-ერთ მათგანს სახე რა დღეში ჰქონდა. ამაზე ხმას რატომ არავინ იღებს?! ძალადობის ერთ-ერთი მსხვერპლი მეც გახლავართ, მაგრამ ამაზე რეაქცია არავის აქვს.

საქმე იქამდე მივიდა, რომ „ლიბერალური ომის პარტია“ ხელისუფლებაში მოსვლას ძალადობით ცდილობს. მათ რიგი ევროჩინოვნიკებიც აგულიანებენ და გაიძახიან, ხელისუფლება არალეგიტიმურიაო. აგერ, ბალტიის ქვეყნებმა დაგვასანქციერეს კიდეც. სჯობს, ჯერ საკუთარ ქვეყნებში მიხედონ დემოკრატიას და მერე ჩვენ დაგვიქნიონ თითი. მათ არავითარი უფლება არ აქვთ, ჭკუა გვასწავლონ. ევროპა იბრძვის, რათა გვაიძულოს, „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონი გავაუქმოთ, — ისე ევროკავშირში არ მიგიღებთო, გვემუქრება. მათ უნდათ, საქართველოში ოჯახი ქალისა და კაცის ერთობა კი არა, ქალისა და ქალის და კაცისა და კაცის ერთობად იქცეს. ამ სატანებისთვის ოჯახის სიწმინდე მიუღებელია. იმდენად გათავხედდნენ, სკოლებში ბავშვების ლიბერალური იდეოლოგიით აღზრდა მოინდომეს. აი, რა უნდათ — საქართველო მოსპონ და დააქციონ. მათ არც ჩვენი მართლმადიდებლური ეკლესია მოსწონთ და არც უწმიდესი და უნეტარესი ილია II. მადლობა ღმერთს, მოსახლეობის 95%-ზე მეტი ტრადიციულ რელიგიას პატივს სცემს.

— ზურაბიშვილი საკოორდინაციო საბჭოს შექმნას და მისი ფრთის ქვეშ ოპოზიციის გაერთიანებას გეგმავს...

— ეს ქალი პრეზიდენტი შემთხვევით გახდა. სინდის-ნამუსი სულ დაკარგა, დაავიწყდა, მეორე ტურში რომ გაემარჯვა ბატონმა ბიძინამ პირადად მიმართა ხალხს, მისთვის ხმა მიეცათ. ზურაბიშვილი აქ ყველას საქმეს აკეთებს, საქართველოს გარდა. პირადად მე 81 სოფელი მოვიარე, რათა მოსახლეობა დამერწმუნებინა, რომ მისთვის ხმა მიეცათ. ზურაბიშვილის წიგნიც კი ვთარგმნე აზერბაიჯანულ ენაზე. მეგონა, ჰუმანური პიროვნება იყო და ქვეყანაზე იზრუნებდა.

— ზურაბიშვილი აცხადებს, ერთადერთი ლეგიტიმური მე ვარ, ხელისუფლებას კი ლეგიტიმურად არავინ ცნობსო...

— როგორ არ ცნობენ, აგერ, საგარეო საქმეთა მინისტრს, მაკა ბოჭორიშვილს ამერიკის ელჩი შეხვდა. პრემიერი მეზობელ ქვეყნებში მაღალი დონის შეხვედრებს მართავს. ამ სულგაყიდული ოპოზიციისა და მისი მეთაურის მიზანი ქვეყანაში დესტაბილიზაცია და მისი დაშლაა. იმას კი არ აცნობიერებენ, რომ საქართველო მათი სამშობლოც არის და მუდამ ზიანის მიყენებაზე ფიქრს, სჯობს, აფხაზ, ოს ძმებთან საერთო ენა გამონახონ და საქართველოს გაერთიანებაზე იზრუნონ. პოლიტოლოგი გახლავართ და პოლიტიკაში აქტიურად ვარ ჩართული. ამიტომ, როცა ანალიზს ვაკეთებ, ვფიქრობ, ღმერთო, ეს ხალხი ვინ არიან, ქართველები თუ ვიღაც ურჯულოები. ასე ქვეყნის საწინააღმდეგოდ როგორ მოქმედებენ?! ადრეც იყვნენ ასეთი გამყიდველი აგენტები, რომლებიც ხან ირანში გარბოდნენ, ხან თურქეთში და მტერს ინფორმაციას აწვდიდნენ, რათა საქართველოში შემოსულიყვნენ და ჩვენი ქვეყანა იოლად დაეპყროთ. დღესაც იგივე ხდება, ოღონდ, ახლა ევროპაში მიდიან (ნაცებს სტრასბურგში ოფისიც კი აქვთ გახსნილი) და საკუთარ სამშობლოს აბეზღებენ!

სინამდვილეში, საქართველოს დასაბეზღებელი არაფერი სჭირს. ღიად ფიქსირდება, რომ ხელისუფლების მიზანი სტაბილურობა, ტრადიციული ფასეულობების შენარჩუნება, ეკონომიური განვითარება, მშვიდობა და ყველა ქვეყანასთან ორმხრივი ურთიერთობაა. ნაცებს კი სხვა ინტერესი აქვთ, ის, რასაც 2004 წლიდან 2012-მდე სჩადიოდნენ, როცა ახალგაზრდებს ქუჩაში ხოცავდნენ, საპყრობილეში პატიმრებს აწამებდნენ, ბიზნესს აყაჩაღებდნენ და ა. შ. გაიძახიან, რუსული კანონები და რუსული ხელისუფლება გვყავსო. ნუთუ, ისეთი ჩლუნგები არიან, ვერ აანალიზებენ, რომ 2012 წლიდან დღემდე, რუსებზე არცერთი სტრატეგიული ობიექტი არ გაყიდულა. სააკაშვილმა კი რუსებს 37 სტრატეგიული ობიექტი მიჰყიდა. კოდორის ხეობა და ახალგორი რუსების ხელში ვის დროს ჩავარდა?! ახლანდელმა ხელისუფლებამ ერთი გოჯი მიწა მაინც მისცა ვინმეს, ან ომში ჩართო ქვეყანა?! პრემიერმა განაცხადა, როგორ ითხოვდა ზურაბიშვილი მისგან და ღარიბაშვილისგან, ქვეყნის ომში ჩართვას, — ჩვენც ზელენსკისავით გმირები უნდა გავხდეთო.

სადაური გმირია ზელენსკი, როცა უკრაინა — ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ქვეყანა, დღეს განადგურებულია, ხალხის ნაწილი დახოცილია, ნაწილი — გასახლებული. ეს არის გმირობა?! ზუსტად იგივე უნდოდათ ნაცებს საქართველოში. ისინი ქვეყნის მშენებლობაზე კი არ ფიქრობენ, არამედ განადგურებაზე.

„ქართული ოცნება“ ფეხზე მყარად დგას იმ ამომრჩევლების მხარდაჭერით, რომელთაც 2012 წელს სააკაშვილს და მის „ომის პარტიას“ უარი უთხრეს. დიახ, „ქართული ოცნება“, ივანიშვილის თამადობით, მის ერთგულ მხარდამჭერებზე დგას. მიკვირს, როგორ გაუძლო მმართველმა პარტიამ ამდენ შიდა მოღალატეს, პორტირებულ ადამიანებს. მიტინგებზე მათი სახე კიდევ უფრო გამოჩნდა. მიკვირს იმ ადამიანების, ვისთან ერთადაც „ქართულ ოცნებას“ ვაყალიბებდით, რა სინდისით დგანან დღეს ნაცების გვერდით. ისინი გუშინ გირგვლიანის, ვაზაგაშვილის, რობაქიძის, თეთრაძის მკვლელებს ფაშისტებს, სადისტებს ეძახდნენ, სააკაშვილს უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდნენ და ახლა გვარამიას, ვაშაძის გვერდით დგანან. და ახლა იმ ადამიანს ლანძღავენ, რომელმაც ისინი დეპუტატებად, პრემიერებად, პარლამენტის თავმჯდომარედ, მინისტრებად, პრეზიდენტად აქცია. ეს უსინდისოები დღეს ხელისუფლებას ლანძღავენ. ამ ხალხს მხოლოდ საკუთარი ინტერესები ამოძრავებთ და არა ქვეყნის.

ვინც დღეს ვერ ხედავს, რა კეთდება ქვეყანაში, ან უვიცია, ან ბრმა. თუნდაც დიდთოვლობისას, ხელისუფლების ყველა შტომ რამხელა სამუშაო გასწია. 104 წლის ავადმყოფი მოკვდა და ამის ხელისუფლებისთვის დაბრალება უნდოდათ. დააკვირდით რა დღეშია ახალგაზრდობა, რომელიც მთელი ღამეები ქუჩაში დადის და გაუგებარ ლოზუნგებს განწირული ყვირის. იმას კი არ უფიქრდება, რომ ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს მათი განათლებისთვის, ნათელი მომავლისთვის.

ამიტომ, ვფიქრობ, ტრამპის განცხადებები ერთი ერთში პასუხობს ჩვენი ხელისუფლების ეროვნულ კურსს და ინიციატივებს. ყველა წარმატება იმ გუნდის დამსახურებაა, რომლის სათავეში ივანიშვილია. ამ ადამიანს ქვეყნისთვის გაწეული დიდი წვლილი არ უნდა დავუკარგოთ. მან პირად კეთილდღეობას ქვეყნის სტაბილურობა და მშვიდობა არჩია. დამისახელონ ერთი ქველმოქმედი მაინც, რომელსაც ქვეყნის სასიკეთოდ ამდენი რამ აქვს გაკეთებული. დააკვირდით, რა პროპაგანდა მიდის ომის პარტიის იდეოლოგიის გამტარებელ ტელევიზიებში. ესენი ჟურნალისტები არ არიან. თავისუფლება ის კი არ არის, პირზე რაც მოგადგება, ყველაფერი თქვა, არამედ კანონის ჩარჩოებიდან გამომდინარე უნდა იმოქმედო. ესენი პარტიული ტელევიზიები არიან. მადლობა ღმერთს ჯანსაღი პრესა და ტელევიზიებიც არსებობენ. „საერთო გაზეთის“ მიმართ უდიდესი პატივისცემით ვარ განმსჭვალული. აგერ, ახლახან, ტელეკომპანია „იმედს“ 22 წელი შეუსრულდა და მინდა მივულოცო. სულ რამდენიმე ტელევიზია, პერიოდული პრესა და სააგენტოა, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს ობიექტურად აშუქებს.

აქვე, მინდა, ბოლოს, „საერთო გაზეთის“ მეშვეობით ერთი აზრი დავაფიქსირო: კარგი იქნება, თუ ტელეკომპანია „იმედი“, „პოსტივი“ ეთერს ეროვნულ უმცირესობებს დაუთმობენ, ვინც აქ ცხოვრობს და მიაჩნია, რომ საქართველო მისი სამშობლოა. ქართულმა საზოგადოებამ ამ ადამიანების აზრიც უნდა მოისმინოს. ეს აუცილებელია, რადგან ისინიც ამომრჩევლები, საქართველოს მოქალაქეები არიან, რომლებიც ჯარშიც მსახურობენ და ქვეყნის ინტერესებსაც იცავენ. ჩვენ ერთ სამშობლოში ვცხოვრობთ. აქვე, იმედს გამოვთქვამ, რომ ამერიკის ელჩის შეხვედრა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან, პირველი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ქართულ-ამერიკული ურთიერთობების მოგვარების კუთხით.

თამარ შველიძე

ულმერთო ადამიანი კაცობრიობის უპირველესი მტერია

გვესაუბრება პოეტი ირაკლი ვაშაყმაძე:

— ქალბატონო თამარ, სანამ საუბარს დავიწყებ, უნდა ვთქვა, რომ ორი დღის წინ „საერთო გაზეთის“ სულისჩამდგმელის, ჩემი ძვირფასი ძმის, ვახტანგ ხარჩილავას დაბადების დღე იყო. უკვე მესამე წელია, მის გარეშე გვიწევს ამ დიდებული პიროვნების, რომელიც ასე დააკლდა ოჯახს, მეგობრებს, კოლექტივს და რაც მთავარია, საქართველოს, დაბადების აღნიშვნა. ძირძველი ქართველები ვახტანგის დარ ადამიანზე ამბობდნენ: ქმედნი ამა სოფლისანიო. სწორედ ასეთი იყო ვახტანგ ხარჩილავა. მისი მეტყველი სახე სულ თვალწინ მიდგას, მით უმეტეს, ახლა, როცა მსოფლიო ომის ქარ-ცეცხლშია გახვეული და უღმერთობა ზეობს. მახსენდება ჩვენი საუბრები ქვეყნის ბედ-იღბალზე, მუდამ წუხდა, რა ვუშველოთ ჩვენს სამშობლოსო.

კაცობრიობის პირველი მტერი, ყოველთვის, უღმერთობა და უღმერთო ადამიანები იყვნენ. ასეთ რთულ ვითარებაში ტრამპის გაპრეზიდენტებამ იმედი ჩამისახა. გამიხარდა, მისგან უფლის არაერთხელ ხსენება და ოჯახის კულტის წინ წამოწევა. სინამდვილე უღმერთოდ, ლაფიანია და ასეთ დროს ყველაფერი ბოროტების ასპარეზი ხდება. ტრამპი ოჯახურ ფასეულობებზე რომ საუბრობდა, ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს, ქართველი კაცი საუბრობდა. იგი საქართველოს გულისნადებს ხმამაღლა აჟღერებდა. ტრამპი უფლის, ოჯახის, მოყვასის მოყვარული აღმოჩნდა. კონგრესში მის გამოსვლას ვუსმენდი და ვფიქრობდი: ეს მართლა ამერიკელია თუ ქართველი-მეთქი. სამწუხაროდ, ჩვენში უფლისმოძულენი მომრავლდნენ. სწორედ ამ უფლისმოძულეობამ ათქმევინა ივანე ჯავახიშვილს: ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი სხვაგვარად წარიმართებოდა, ფეოდალებს ნაკუწებად რომ არ დაეშალათ დავით აღმაშენებელის ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაშლილი საქართველოო. საკუთარ უბედურებას ყოველთვის სხვას ვაბრალებთ, არადა, რამდენი მოღალატე გვყავს ქვეყნის შიგნით, ვინ მოთვლის. დიახ, დიდხანს ვიცხოვრეთ ერთთავიან ურჩხულში, მაგრამ ახლა რომელ ურჩხულშიც აღმოვჩნდით, ეს რამდენთავიანია?! ჯერ მარტო დააკვირდით, რამდენი არასამთავრობო ორგანიზაცია გვაქვს, თუ არ ვცდები, მათი რიცხვი 36 ათასს უტოლდება. განა ამდენი ქართულად მოლაპარაკე ავსული, საქართველოს მტრად ოდესმე ჰყოლია?!

— ისტორიას თუ გადავხედავთ, საქართველოს მტრები და მოღალატეები არასდროს აკლდა, თუმცა, ეს რა ფენომენია?

— მაშინ ჩვენ ვიცოდით, რომ მტერი მოდიოდა, მაგრამ ახლა რა ხდება? — მტერი უბეში გვიზის ქართული გვარით და სახელით, ქართულად გველაპარაკება და თან გვეუბნება, თეთრი შავია, ბოროტება — სიკეთეო. მტრების ოცნება ასრულდა — ქართველად წოდებულმა ადამიანმა ოჯახზე, უფალზე მიიტანა იერიში. დავით აღმაშენებელის, შოთა რუსთაველის, ფარნავაზის საქართველოში ჭკუას უცხოელი ელჩები გვარიგებენ და ისინი წყვეტენ, რა კანონები მივიღოთ, ვინ დავიჭიროთ და ა. შ. ქალბატონ თამარს ვესაუბრე ამ რამდენიმე დღის წინ ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე. სწორედ მისი დარი ქალბატონები უნდა იყვნენ მეცნიერენი და კიდეც არიან. რამეთუ ერთმა ბრძენმა თქვა, დედაკაცი, იგი, გონიერი გვირგვინია კაცისაო. ახლანდელ ქართველ ქალს რომ შეხედავ, გული გაგისკდება, ან რა ლექსიკით საუბრობენ, ან რა ქცევა, მანერები აქვთ. ტელევიზიები ხომ საერთოდ თავისი შოუებით სატანურ სამყაროს დაემსგავსა. დიახ, წარსულში ათასი ურჯულო გვიტევდა და ვებრძოდით. ახლა ევროკავშირის ელჩი გამოდის და იმის მაგივრად, რომ მშვიდობაზე გვესაუბროს, გვეუბნება, ერთმანეთი დახოცეთო. სამწუხაროდ, ელჩები ჩვენი ქვეყნის საქმეებში ძალიან უხეშად ერევიან. საქართველოში უღმერთოთა ლაშქარი გადმოსხეს, რათა მათ ქრისტიანული, მართლმადიდებლური სახელმწიფო გაანადგურონ.

მაინც, რა ბედი გვქონია ქართველებს? თავისუფლება მოვიპოვეთ და მერე, ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ბოროტმა ძალებმა საქართველოდან გააძევეს, ეროვნული ხელისუფლება დაამხეს და შევარდნაძის, კიტოვანის, სიგუების სახით ხუნტა მოვიდა. საოცარი, იცით, რა არის? — ის ხალხი, რომელიც მაშინ ქართველებს ავტომატებით დასდევდა, ახლა თამარის მსგავს ნამდვილ ქალბატონებს ლექციებს უტარებენ, როგორ უნდა იცხოვრონ. აქეთ ზურაბიშვილი თამაშობს ბინძურ სპექტაკლში, რომელიც საქართველოს, ყოველგვარი ეროვნულის მაგინებელია. აღარაფერს ვამბომ მის წინამორბედებზე: მარგველაშვილზე, სააკაშვილზე, რომელიც შევარდნაძემ მოიყვანა და გვითხრა, ეს იქნება თქვენი პრეზიდენტიო.

— სხვათა შორის, მას ახლახან, ცხრა მილიონის გაფლანგვისთვის ცხრა წელი მიუსაჯეს...

— 9-წლიანი სასჯელი, ცოტაა. მთელი საქართველოს ისტორია რომ ავიღოთ, რა დროსაც მტერი შემოგვესეოდა ხოლმე, იმ უბედურებას ვერ გადაწონის, რაც საკაშვილმა ორ-სამდღიანი ომით გააკეთა. ამ მოღალატემ ქართველი ხალხი და საქართველო გააუბედურა — ძირძველი სამაჩაბლო, დალის ხეობა, აფხაზეთი, ყველაფერი მტერს გადაულოცა. და ამ დროს მოღალატეებს ნამდვილ ქართველებს გვეძახიან!!! არადა, ეს ვითომ ოპოზიციონერები, მართლა ქვეყნის მტრები და მოღალატეები, ევროპაში დარბიან და საკუთარ სამშობლოს ასმენენ. ეს არის ქართველობა?! მსგავს ღალატს სიზმარადაც ვერ წარმოვიდგენდი. ნუთუ ეს არის საქართველო?! ვახტანგი ხშირად მეუბნებოდა: ირაკლი, ჩვენ ახლა მხოლოდ და მხოლოდ უფალი თუ გადაგვარჩენსო. ჩვენ ახლა უფლის იმედადღა ვართ და ამ დროს, ოკეანის გაღმიდან გვესმის იგივე, რასაც ყველა ქართველი გულში ჩუმად ნატრობს. ეს დამაიმედებელია.

— ბატონო ირაკლი, ქუჩაში ასობით ახალგაზრდაა გამოსული და პროტესტის სხვადასხვა ფორმას მიმართავს. როგორ დავიბრუნოთ ეს ახალგაზრდობა?

— ქართველებს ასეთი გამოთქმა გვაქვს, რამ გადაგიბრუნა, შვილო, ტვინიო. დიახ, ამ ახალგაზრდობას ტვინი რომ აქვს გადაბრუნებული, იმ სკოლების, უნივერსიტეტების დამსახურებაა, რომელთაც მოძღვრებად ლიბერასტი, უზნეო, უსამშობლო, უღმერთო პროფესორ-მასწავლებლები ჰყავთ. ახლახან პრემიერმა განათლების სისტემის რეფორმა დააანონსა, სადაც ყურადღება მიექცევა, თუ როგორი უნდა იყოს ქართული სკოლა, საქართველოს მტრად ოდესმე ჰყოლია?!

— ისტორიას თუ გადავხედავთ, საქართველოს მტრები და მოღალატეები არასდროს აკლდა, თუმცა, ეს რა ფენომენია?

— მაშინ ჩვენ ვიცოდით, რომ მტერი მოდიოდა, მაგრამ ახლა რა ხდება? — მტერი უბეში გვიზის ქართული გვარით და სახელით, ქართულად გველაპარაკება და თან გვეუბნება, თეთრი შავია, ბოროტება — სიკეთეო. მტრების ოცნება ასრულდა — ქართველად წოდებულმა ადამიანმა ოჯახზე, უფალზე მიიტანა იერიში. დავით აღმაშენებელის, შოთა რუსთაველის, ფარნავაზის საქართველოში ჭკუას უცხოელი ელჩები გვარიგებენ და ისინი წყვეტენ, რა კანონები მივიღოთ, ვინ დავიჭიროთ და ა. შ. ქალბატონ თამარს ვესაუბრე ამ რამდენიმე დღის წინ ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე. სწორედ მისი დარი ქალბატონები უნდა იყვნენ მეცნიერენი და კიდეც არიან. რამეთუ ერთმა ბრძენმა თქვა, დედაკაცი, იგი, გონიერი გვირგვინია კაცისაო. ახლანდელ ქართველ ქალს რომ შეხედავ, გული გაგისკდება, ან რა ლექსიკით საუბრობენ, ან რა ქცევა, მანერები აქვთ. ტელევიზიები ხომ საერთოდ თავისი შოუებით სატანურ სამყაროს დაემსგავსა. დიახ, წარსულში ათასი ურჯულო გვიტევდა და ვებრძოდით. ახლა ევროკავშირის ელჩი გამოდის და იმის მაგივრად, რომ მშვიდობაზე გვესაუბროს, გვეუბნება, ერთმანეთი დახოცეთო. სამწუხაროდ, ელჩები ჩვენი ქვეყნის საქმეებში ძალიან უხეშად ერევიან. საქართველოში უღმერთოთა ლაშქარი გადმოსხეს, რათა მათ ქრისტიანული, მართლმადიდებლური სახელმწიფო გაანადგურონ.

ამერიკელი კაი ყმა

ღვთის მოყვარული, როგორც იქნა, გამოჩნდა კაცი,
ჟამი ჩამოდგა ბოროტთათვის ავი და მკაცრი,
შავი ურჩხულის ხახაში ვართ, უფსკრულის პირას
და სასოებით ველოდებით აღდგომის კვირას...

...უნდო წუთისოფელი ხშირად გვმტრობს და პირშაობს,
ვლოცულობთ, რომ ბოროტმა, რამე არ დაგვიშავოს,
გავიხარეთ წკვარამში სხივის გამონათებით,
საქართველოს გაათბობს, მჯერა, უფლის ნათელი.

— ბატონო ირაკლი, ქუჩაში ასობით ახალგაზრდაა გამოსული და პროტესტის სხვადასხვა ფორმას მიმართავს. როგორ დავიბრუნოთ ეს ახალგაზრდობა?

— ქართველებს ასეთი გამოთქმა გვაქვს, რამ გადაგიბრუნა, შვილო, ტვინიო. დიახ, ამ ახალგაზრდობას ტვინი რომ აქვს გადაბრუნებული, იმ სკოლების, უნივერსიტეტების დამსახურებაა, რომელთაც მოძღვრებად ლიბერასტი, უზნეო, უსამშობლო, უღმერთო პროფესორ-მასწავლებლები ჰყავთ. ახლახან პრემიერმა განათლების სისტემის რეფორმა დააანონსა, სადაც ყურადღება მიექცევა, თუ როგორი უნდა იყოს ქართული სკოლა, რასას უნდა ვასწავლიდეთ ბავშვებს, როგორი თაობა აღვზარდოთ. ეს მიღწევადი იქნება, თუ ნამდვილი ქართველები ერთად დადგებიან, ემიგრაციაში წასულებიც უკან დაგვიბრუნდებიან და ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლას ერთად დავიწყებთ. იმედია, ღმერთი განსაცდელში არ მიგვატოვებს და მოგვხედავს. ჩემი მეგობრების მოსაზრებას დავეთანხმები: ჩვენ კაცობრიობის კეთილ ძალებს უნდა მივმართოთ, რათა დედამიწა იმ წარღვნისგან გადავარჩინოთ, რასაც ბოროტება და სატანის აღზევება ჰქვია.

— ბატონო ირაკლი, საუბრისას მითხარით, ტრამპს ლექსი მივუძღვენიო, ინსპირაცია რა იყო?

— არ მეგონა, თუ ქართველი კაცი ამერიკელს ოდესმე ლექსს მივუძღვნიდი. ლექსი დავწერე, რომელსაც „ამერიკელი კაი ყმა“ დავარქვი. კაი ყმა ყოველთვის ზნეობის, ვაჟკაცობის სახე-ხატი და ფენომენი იყო. ბოროტების ხახაში აღმოჩენილი კაცობრიობის მხსნელად სწორედ ტრამპი მესახება, რომელიც აცხადებს, რომ ადამიანებს ღირსება უნდა დავუბრუნოთ და ქვეყნებს თავიანთი ტრადიციებით, ცხოვრების წესით ცხოვრების საშუალება მივცეთო. საქართველოს ხელისუფლება დიდი ხანია, საუბრობს იმაზე, რომ ოჯახი არის ქალისა და კაცის ერთობა, რაც ტრამპმა ინაუგურაციაზე გაიმეორა. დიახ, ინაუგურაციაზე მის გამოსვლას რომ ვუსმენდი, გაოგნებული დავრჩი, იმდენად პატივით ახსენებდა ოჯახს, სამშობლოს, მოყვასს, მშვიდობას. მას მშვიდობის დამყარება სურს. ეს, რა თქმა უნდა, არ მოეწონათ იმ ბოროტ ძალებს, რომლებიც უზნეობას, ძალადობას, გარყვნილებას ქადაგებენ. ტრადიციებს, რაც საქართველოს მრავალათასწლეულებია მოსდევს, სწორედ კაი ყმის, ვარგებული კაცის, მაცხოვრის სახე-ხატის ფენომენის დამსახურებით ვქმნიდით და ვქმნით. ჩვენი გაერთიანებით სატანურ, ბოროტ ძალებს დავამარცხებთ.

დიახ, ამერიკელ კარგ ყმას ლექსი მივუძღვენი და ვფიქრობ, იგი იმედებს არ გაგვიცრუებს, მხარში ამოგვიდგება და იმ ძალას დავამარცხებთ, რომელსაც ქართულად მოლაპარაკე ავსული ლაშქარი ვუწოდე. დღეს ევროკავშირი, რომელიც ანტისაკაცობრიო იდეალებს ქადაგებს, ნამდვილი ევროპისგან შორს დგას. დღევანდელი ევროპა ევროპა არ არის. ევროკავშირი ნამდვილი ევროპის მტრად მიმაჩნია. რას აღარ გაუძლო ქართველმა კაცმა. თავის დროზე კომუნისტებმა უფლის, სამშობლოს ხსენებაც კი აგვიკრძალეს. ახლა უარესი ხდება — უფალს ღიად გმობენ და სამშობლოდ ის ადგილი მიაჩნიათ, სადაც კარგად იცხოვრებენ!!!

ღმერთს დიდება! დაე, უფალმა გაამარჯვებინოს ჩვენს ბედკრულ საქართველოს ამ მტრებთან ბრძოლაში. სიკეთე მოგვცეს ყველას, ჩემი ვახტანგის ოჯახის თამადობით, რომელიც ჩემთვის უძვირფასესია. ქალბატონ თამარს რომ ვესაუბრები, თითქოს ვახტანგთან ვლაპარაკობ.

ვისურვოთ, რომ ამერიკის პრეზიდენტმა იმედი არ გაგვიცრუოს. უფალი არ მიგვატოვებს. ლიბერასტული, მასონური, სატანური ძალები ოჯახს და ღმერთს ყოველთვის თავს ესხმოდნენ, მაგრამ არაერთხელ გადავრჩით. ოჯახი ერის, ქვეყნის მაცოცხლებელი ძალაა. ნიკო ლორთქიფანიძე ამბობდა, ოჯახი სათნოებისა და სიყვარულის ტაძარია. მას ხელს ნუ ახლებთ, რამეთუ მისი დანგრევით ქვეყნის საფუძველი ინგრევაო. ამ ლიბერასტ, ბოროტ ძალებს ღმერთის ეშინიათ. არადა, ღმერთი ხომ სიყვარულია. ფოიერბახი ამბობდა, ღმერთი მაღალზნეობრივი კატეგორიაააო. ეს ღვთისპირიდან გადავარდნილები კი, გაცხოველებით მიდიან გაცხოველებისკენ.

თამარ შველიძე

მიშა მზეთუნახავი

ცხრა წლის წინათ, 2016 წლის მარტში თქვა ცხონებულმა რეზო ამაშუკელმა: „თუ ქართველი ერი ერთიანად ფეხზე არ დადგა და ეს მეტასტაზები, ეს არასამთავრობოები, რომლებიც პირწმინდად დასავლეთის სპეცსამსახურების ქსელს წარმოადგენენ, „ქირურგიული ჩარევით“ არ გავანეიტრალეთ, საქართველო დამთავრებული და დაღუპულია!

და კიდევ, მისი მომხრე ე. წ. ბომონდი — ეს არის უწიგნური ბოზების და წიგნიერი პედერასტების ხროვა!

დიახ, ეს არის აქოთებული, გადაგვარებული, ჰორმონალური უკმარისობით ამძუვნებული კახპების, ნაწნავიანი და პომადიანი ბიჭების, ძველი, მიმჭკნარი, ვერცხლს დახარბებული, უკვე მოჩიფჩიფე „ხელოვანებისა“ და ათასი ჯურის გვარგამოცვლილი და სულგაყიდული მათხოვრების შლეიფი!“

ამჯერად მიშაზე შევჩერდეთ, უმზეურადაც (ღორის მკერდის ნაწილი) რომ არ ვარგა, ისეთ „მზეთუნახავზე“. ისე დაიჩივლა, მზე არ მინახავსო, თითქოს ვინმემ აუკრძალა მზის დანახვაც — იმდენი დანაშაული აქვს ხალხისა და ქვეყნის წინაშე ჩადენილი, რომ თვითონ ეშინია თანამემამულე ბრალდებულებთან შეხვედრის, თორემ მზის სხივები ახლაც თანაბრად ეფინება ვარდსაც და ნეხვსაც.

გიული ალასანია

გული მწყდება, რომ ჩემს შვილს არ ეყო დავით აღმაშენებლის მაგალითი, ილია ჭავჭავაძის, ზვიად გამსახურდიას, კოსტავას მაგალითი, დაკრა ფეხი, წამოვიდა და ჩაბარდა ჯალათებს.

„მზეთუნახავს“ 9 წელი მიუსაჯეს და აღშფოთდა მზეთუნახავი, რამხელა სიურპრიზია ოლიგარქის განაჩენი და რისთვის, საქართველო რომ არ ჩავაბარე, წარმატებულ ქვეყნად ჩამოვაყალიბეო? სხვა რომ ვერაფერი მიპოვეს, პრაქტიკულად, სამუდამო პატიმრობა მომისაჯეს საპრეზიდენტო ოფისის ოფიციალური ხარჯებისთვისო.

ამ ეტაპზე მართალია „მზეთუნახავი!. ასე ცალ-ცალკე და დანაწევრებულად რომ იძიებენ მის მიერ ჩადენილ ავკაცობებს და ნაწილ-ნაწილ უსჯიან, რა წესია? როგორც მან დააწესა და წარმატებითაც „მათემატიკოსობდნენ“ მისი მოსამართლეები, ასე უნდა იყოს ახლაც, შეაგროვონ ერთად, შეკრიბონ და მიუსაჯონ სასჯელი, მაგრამ არა „ვივამედში“ კოტრიალი, არამედ სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მისი მოხდა.

ზოგადად კი, თითქოს სიმბოლოებით გაეშაირა ვიღაც, 9 წელი იყო საქართველოს წურბელა და 9 წელი მიესაჯა 9 მილიონის არამიზნობრივი ხარჯვისთვის. უსაფუძვლოდ ჰუმანური სასამართლოსი რა ვთქვი, თორემ მმართველობის თითო წელზე თითო წელი კი არა, თითოეული იმ დღისთვის უნდა მიესაჯათ სასჯელი, რაც საქართველოს მოქალაქეების წამებასა და საქართველოს გაუბედურებაში გაატარა...

როგორც მახსოვს, ჯერ კიდევ „მზეთმხილავს“ ბრალი 14 მუხლით, მათ შორის **მუხლი 109** – განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში, ორი ან მეტი პირისა, განსაკუთრებული სისასტიკით. ისჯება თავისუფლების აღკვეთით თექვსმეტიდან ოც წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

თითოეულ ამ დანაშაულში სააკაშვილი ბრძანების გამცემი, ორგანიზატორი, წამქეზებელი ან დამხმარეა.

ამ ჩამონათვალში არაფერია ნათქვამი „სამშობლოს ღალატის მუხლის“ შესახებ, ამდენად, როგორ იქნება საქმე, მართლაც საინტერესოა, რადგან ასეთი ხილული სამშობლოს მოღალატე პრეზიდენტი საკუთარი სამშობლოს მოღალატე შლეიფი-არმიით, არ გამიგონია. მისი ადვოკატები დაიწყებენ დემაგოგობას, რომ იმ დროს ასეთი მუხლი არ იყო, ანუ არც სამშობლო იყოო? სამი თვით ადრე ეს მუხლი ამოღებულ იქნა სისხლის სამართლის კოდექსიდანო?

მიხეილ სააკაშვილის მიერ და მისი „შლეიფის“ დასტურით „ქვების გროვად“ გამოცხადებული, 2008 წელს რუსეთის ფედერაციისთვის ფეშქაშად გადაცემული (ახლახან ტრამპმა თქვა) დასახლებული პუნქტების მცხოვრებლები ზნაურის, ცხინვალისა და ახალგორის რაიონებიდან იქვე არიან და ისე წყევლიან 08.08.08-იდან დღემდე, დიდხანს გაჰყვება მათი „ლოცვა“, სამართალი კი რას იზამს, ვნახოთ...

ახლახან, „შლეიფიდან“ გიორგი ბარამიძემ აუწია კუდი, სახლიც კი არა აქვს ყვარლის გარდა არსად და რას ედავებიანო. რა თქმა უნდა, არ აქვს!

ის, რომ სახელმწიფო „ქვების გროვის“ პარალელურად მისი დედიკოს ქონებამ ხვარიელად იბარტყა, თურმე სახელმწიფო ტაქტიკა იყო, მხოლოდ ის დარჩა გაურკვეველი, ომი სამ დღეში დამთავრდა და ის ქონება სამუდამოდ რატომ დარჩა „ტაქტიკოს“ მფლობელს?

გიული ალასანია: „ჩემმა შვილმა გადაარჩინა საქართველო ოკუპაციას. მაშინ იყო საშიშროება იმის, რომ რუსები შემოსულიყვნენ. ეს იყო ერთგვარი ტაქტიკა იმ დროს, ასე ადვილად პრეზიდენტის ქონებას ვერ შეეხებოდნენ, ამიტომაც მოხდა ამ ქონების გადანაწილება ცნობად ადამიანებზე, რომ რუსებს არ წაეღოთ. ახლა გესმით ესა? რა, მარტო მე მაქვს 1 ლარად გადმოცემული? ან, სულ სახელმწიფო ქონება ხომ არ იქნებოდა? ძაან კარგად იციან ესა. ამიტომაცაა ესე გაафთრებული პუტინი და აძლევს დავალებას მთავრობას და ივანიშვილს, რომ მოხდეს ჩემი შვილის ყოველმხრივი დისკრედიტაცია. ეს დაიმსახურა მიშიკომ? ისტორიას არ ახსოვს ესა, რომ საქართველოს გადამრჩენელს რაღაც კაპიკებზე ედავებოდნენ. წარმოგიდგენიათ“?

მიხეილ სააკაშვილისაა თუ მისი დედიკოსი მე სად და რატომ ვარკვიო, რა მრჯის, მაგრამ უძრავი ქონება რაც უფიქსირდებოდა, ეს იყო და კიდევ რა დაამატეს ან მოაკლეს, მაგდენს აღარ ჩავძიებივარ. 3 მილიონ ლარს საერთოდ არ გამოვდევნებივარ, „რაღაც კაპიკები“ ყოფილა...

დაფუძნებული კომპანიებისა და ამ კომპანიათა მიერ დაფუძნებული კომპანიების ქონებების ჩამონათვალი:

შპს „საქართველოს უნივერსიტეტის“ საკუთრებაშია უამრავი ქონება, რომლის თანადამფუძნებელი და პრეზიდენტიც გიული ალასანიაა.

— ბინები თბილისსა და სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები თბილისის შემოგარენში, სპორტული მოედნები, მიწის ნაკვეთები, დამხმარე სათავსოები, ავტოფარეხები თბილისში, ბათუმში, თეთრი წყაროს რაიონში, გარდაბნის რაიონში, ოზურგეთში, ზუგდიდში — მთლიანობაში იმდენი კვადრატული მეტრია, რომ ქალაქი გაშენდება...

ძალაუნებურად სიტყვა „გაკულაკება“ წამომიტივტივდა — ეს რა არის, გადაუძოვიათ ნახევარი საქართველო და რაცხა-ვინცხა გოგუცუნებს რაცხაების სანაცვლოდ რაცხაები უყიდა და აჩუქა, ამაზე ედავებიან და 9 წელი მაგის გამო მიარჭვეს? — უკმაყოფილო იქნება, აბა, არ იქნება?

მოკლედ, 9 წელი ცალკე აღებული კონკრეტული საქმისთვის ზომიერია, მაგრამ სამართლიანისა რა მოგახსენოთ — თვითონ როგორც განუსაზღვრავდა ასეთი საქმის დამნაშავეს, ისე რომ მისჯოდა, სასჯელი სამართლიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა!

მსჯავრის მოხდის ადგილი კი აბსოლუტურად უსამართლო და კანონის სასტიკი დარღვევაა!

საკმარისია! აივსო სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებული პატიმრებისა და მათი ახლობლების მომინების ფიალა — გადაიყვანეთ პატიმარი სააკაშვილი მის კუთვნილ საკანში!

ერის შეურაცხყოფის ორი მეთოდია: დასაჯო უდანაშაულო ხალხი და არ დასაჯო დამნაშავეები, — მეტი როგორღა ვთქვა?

ახლა მხოლოდ ისღა მაინტერესებს, „მზეთუნახავ სმეტანიანი“ როდის არაკრაკდება, მე დამნაშავე არა ვარ, აგე, იმათ დამავალესო და ანბანის მიხედვით ჩამოთვლის გაღმა-გამოღმელ დამრიგებლებს. თუმცა, მანამდე ისინიც რამეს მოიფიქრებენ, ისეთს, „ოცნებას“ რომ დაბრალდეს.

ასეა, აშშ-ის მტრობაც და მეგობრობაც, ორივე სახიფათოა, მით უმეტეს, მისი რამენაირი აგენტობა...

ზურა ოძელაშვილი

ჩვენ გლობალური და გეოეკონომიკური დაპირისპირების ეპიცენტრში ვართ

გვესაუბრება ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სსუ-ის პროფესორი იური პაპასქუა:

— ბატონო იური, აშშ-ის სენატში ინიცირებულია ახალი პროექტი, რომლის მიზანი მზარდი ჩინური ეკონომიკური გავლენის შეკავებაა. სენატმა სახელმწიფო და თავდაცვის დეპარტამენტებს დირექტივა მისცა, ჩინეთის მზარდ ეკონომიკურ გავლენებზე მსოფლიო მასშტაბით მოქმედება დაიწყოს, განსაკუთრებით, პორტებზე. აქტის დაკანონების შემთხვევაში, ეს რა საფრთხეა მსოფლიოსთვის და მათ შორის, საქართველოსთვის?

— დღეს მსოფლიოში სასტიკი, დაუნდობელი, გაურკვეველი მდგომარეობაა... ნეოლიბერალური ევროკავშირი კორუფციულ ჭაობში იძირება. ისედაც ამ არაეფექტიან წარმონაქმნს, უუნარო და უსუსური ხელმძღვანელობა დაშლისკენ მიაქანებს; კოლექტიური დასავლეთი ერთპოლუსიანი წესრიგის დამყარებას ცდილობს; ახლო აღმოსავლეთში ტყვიით და დენთით არკვევენ, ვინ არის აქ პირველი და ვინ სად უნდა იცხოვროს; აღმოსავლეთ ევროპაში ცეცხლი ანთია და მთელი სამეზობლო ზედ ნავთს ასხამს, ფიჩხებსაც აყრიან; ჩრდილოეთში არ ცხრება იმპერიული განწყობა; ოკეანის გაღმიდან აგორებული ერთმანეთზე გადაკიდების, მზაკვრობის ეს ტალღა გლობალური დახმარების პროგრამის ფარგლებში შხამს, გესლს, ინტრიგას სასიკვდილო დოზით რიყავს გამოღმა მდებარე ქვეყნების ნაპირებს. შედეგად, იქმნება კატასტროფები და ხელოვნური ტრაგედიები, რათა მორჩილებაში ჰყავდეთ ჰუმანიტარული მისიის მიმღები სახელმწიფოები (ბევრ უმეცარს აქამდე ჰგონია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების, ალიანსების, კავშირებისა თუ მისიების მეშვეობით შემოსული გლობალური დახმარებები მიმღები ქვეყნების ეკონომიკის განვითარებას ან მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვას ხმარდება!?). **გავლენათა სფეროების გადანაწილების თუ მიტაცების ამგვარი სცენარები ვაშინგტონისა და ბრიუსელის კულუარებში იხლართება.** მთავარი ინსპირატორები ცხადად არ ჩანს. მაგრამ ისინი შეუმჩნევლად, ნელა და ხანგრძლივ პერსპექტივაზე გათვლილი სტრატეგიით მოქმედებენ, მიზანსწრაფულად მიცოცავენ მსხვერპლისკენ, სხვისი ხელით აკეთებენ საქმეს და ყოველი ჩვენგანის უბეში ძვრებიან.

ახლა ქალის გამო არ იწყება ომები, არც იდეოლოგიური დაპირისპირებაა მთავარი სამიზნე - **ეკონომიკური ინტერესები და სტრატეგიული დომინირების დაუოკებელი ჟინი ცისქვეშეთში საავდროდ ჩამოწოლილ გლობალურ არეულობას მართავს. ეს ინტერესები ერთეულების განმგებლობაში თავმოყრილი დიდძალი კაპიტალის შესაძლებლობებში იბადება.** ეკონომიკური ინტერესები, უპირატესად, რესურსებთან წვდომის მოპოვება, ხოლო სტრატეგიული დომინირებისკენ სწრაფვა ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების, რესურსების ფლობისა და სხვა ქვეყნების დამორჩილებისთვის უსულგულო ბრძოლაა, რომელიც უმსხვილესი კორპორაციებისთვის უზარმაზარ მოგებას ფქვავს და სიმშვიდე არსად, არასდროს მოაქვს.

ეს უნდა გავიაზროთ, რომ გავხსნათ თქვენს მიერ სასაუბროდ შემოთავაზებული თემა.

ერთიც უნდა შევნიშნოთ: სამხრეთ კავკასია, რომელშიც საქართველოს განგებამ განუწესა საცხოვრისი, გლობალური გამოწვევებისა და გეოეკონომიკური დაპირისპირების ეპიცენტრია. უპირატესად, გეოგრაფიული მდებარეობის, ისტორიული გარემოებებისა თუ რეგიონში აქტორი სახელმწიფოების ინტერესების გადაკვეთაზე ჩამოყალიბდა საქართველოს განსაკუთრებული გეოპოლიტიკური როლი, მისია და მისდამი დღევანდელი საერთაშორისო დამოკიდებულება, რაც ქვეყნისთვის დიდ შესაძლებლობებთან ერთად, სახიფათო გამოწვევებსაც მოიცავს. აქ ვლინდება სტრატეგიული დომინირებისკენ სწრაფვის მთელი სიმკაცრე, რამდენადაც საქართველოში პროექციირდება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ხელსაყრელი კავშირების დამყარების, კასპიის ზღვის აუზიდან შავი ზღვის რეგიონისკენ უწყვეტად დენადი ტვირთებისა და ენერგეტიკული პროექტების გზაგამტარი. მრავალფაქტორიანი გარემოებებით ჩამოყალიბებულ დღევანდელ გეოპოლიტიკურ თუ გეოეკონომიკურ რეალობაში **საქართველო რთული არჩევანის წინაშე აღმოჩნდა. მან ევროპული პერსპექტივისკენ სწრაფვას და გლობალური ინტერესების გამომხატველ მოთხოვნებს შორის ვიწრო, მობნევით დანაღმული გასასვლელი მათზე აფეთქების, საკუთარი იდენტობის მატარებელი პირობების დაკმაყოფილებისა და ღირსების შენარჩუნების ერთობლივი უზრუნველყოფით, „შეუბღალავად და დაუმონებლად“ უნდა გაიაროს.**

ახალი მსოფლიო წესრიგი, ზესახელმწიფოების მიერ გეოეკონომიკურ ცენტრებზე გავლენათა გაფართოების ინტერესების სასტიკი გამოვლინებების გამო, მუდმივად ცვალებადია. ეს პროცესი კი ახალ ვითარებაში ადაპტირების განსაკუთრებულ ალღოს მოითხოვს. ასეთ დინამიკურ და არასრულად პროგნოზირებად გარემოში, **საქართველო ჯერ კიდევ ახალი ტიპის სახელმწიფოს ფორმირებასთან ერთად, ეკონომიკური განვითარების მოდელის ძიებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესშია. ამასთან, ის რეგიონში გლობალური მოთამაშე სახელმწიფოების ინტერესების დაპირისპირებების ზემოქმედების ქვეშაც იმყოფება.** დასავლეთის, რუსეთისა და ჩინეთის განსხვავებული ინტერესების გამო, მიმდინარეობს განუწყვეტელი ბრძოლა, მისი ყველაზე სასტიკი და დამანგრეველი ფორმით. ამ ისედაც მძიმე ვითარებაში, **დასავლეთის მიერ ჩრდილოატლანტიკურ სამხედრო ალიანსსა და ევროპულ კავშირში გაწევრიანების შემოგდებულმა სატყუარამ, საქართველო რუსეთისგან აგრესიული მოქმედებების სამიზნე გახადა.** რუსეთისთვის მიუღებელია დასავლეთის მცდელობა, რომ აკონტროლოს ენერგეტიკული კორიდორი. განსხვავებულია, მაგრამ ძლიერია ჩინეთის გავლენა რეგიონში გეოპოლიტიკასა და გეოეკონომიკაზე. ჩინეთი აქ, ძირითადად, ეკონომიკური მიზნებით არის წარმოდგენილი და მისი მთავარი პრიორიტეტია **„ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ინიციატივის** (Belt and Road Initiative) განხორციელება. ჩინეთისთვის მნიშვნელოვანია სტაბილურობა რეგიონში, რათა უზრუნველყოს ეკონომიკური დერეფნების წარმატებული ფუნქციონირება. ჩინეთი თავის უპირატესობას არ გამოხატავს აგრესიულად, არც სუპერძალების დაპირისპირებაში ერთვება. ჩინეთის საგარეო პოლიტიკა უფრო საერთაშორისო სისტემაში დასავლეთის სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და რბილი ძალის ლიდერობის შესუსტებას ცდილობს, რაც დასავლური ალიანსების როლისა და გავლენის არეალში შეჭრისკენ მიმართულ მანევრად აღიქმება. ჩინეთის ასეთი გააქტიურება, ცხადია, დასავლეთის გაღიზიანებას იწვევს და მისთვის ადგილის მიჩენას ცდილობენ.

გარდა ამისა, ზესახელმწიფოებს უჭირთ იმის აღიარება, რომ ჩინეთმა ტექნიკური, ტექნოლოგიური, კომუნიკაციური თუ ინფრასტრუქტურული განვითარების აღქმად ფანტაზიებს გადაასწრო და ისინი შორს ჩამოიტოვა. ეკონომიკურ სფეროშიც წარმოუდგენლად დიდი ნახტომი გააკეთა. მისი სამხედრო პოტენციალიც ძალიან მაღალია. მიუხედავად საგარეო ვალების მოცულობისა და ცალკეულ სეგმენტში სირთულეებისა, ჩინეთი მიმდინარე პრობლემიდან ყოველთვის პოულობს გამოსავალს და სტაბილური ზრდის პერსპექტივას ინარჩუნებს.

ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ პრეზიდენტ ტრამპის ადმინისტრაცია მსგავს ინიციატივებს აჟღერებდეს. აქვე უნდა შევნიშნო, რომ ტრამპის დაბრუნება თეთრ სახლში ახალი თავსატეხია მსოფლიოსთვის. მისი განცხადებები და აწ უკვე მოქმედებები, ახალ არეულობებს და გართულებებს მოიტანს. ამერიკისთვის დიდების დაბრუნების, გრენლანდიაზე გარიგების, პანამის არხზე გავლენის მოპოვების, კანადის ახალ შტატად წარმოდგენის, ღაზას სექტორში სამშენებლო პროექტების დაწყების, უკრაინაში ომის შეწყვეტისა და ვალების სანაცვლოდ იქიდან რესურსების გამოზიდვის, ევროკავშირისთვის თითის დაქნევის, ჩინეთისთვის ტარიფების გაზრდის, რუსეთის თავნებობის მკაცრი სანქციებით მოგუდვის და სხვა ახალი განაცხადები უაღრესად საშიში და საფრთხის შემცველია. ის ერთპოლუსიან სამყაროსკენ იქაჩება და დაპირისპირებების ესკალაციას გამოიწვევს. ძალიან მეეჭვება, რომ მისი სამშვიდობო მისია ასე მარტივად დასრულდეს და მხარეებმა, განსაკუთრებით კი რუსეთმა ან ევროკავშირმა მორჩილად, უპირობოდ მიიღონ ტრამპის შეთავაზებები, მით უფრო, რომ ჯერ მისი დანაქადებიდან არცერთი არ შესრულებულა. ერთი, რაც უდავოდ კარგია, ტრამპის დაბრუნებამ და ხმაურიანმა განცხადებებმა (უფრო ილონ მასკის მონდომებამ) მსოფლიო გამოაღვიძა, კორუფციის არნახული მასშტაბები, იარაღით დაპირისპირების ნამდვილი სამიზნეები, ევროპული ალიანსების მმართველობის უუნარობა და კერძო ინტერესები გამოკვეთა. თუმცა რა ახალი განსაცდელი იმალება ამ „საცვლების გამომზეურებაში“, ჯერ სრულ ბურუსშია. აქ საოცრად გაბედულად, გონივრულად და სახელმწიფოებრივად გამართულად ჩანს საქართველოს ხელისუფლების პოზიცია, მათ შორის, ჩინეთის სტრატეგიულ პარტნიორად მოაზრებაშიც.

ჩინეთის წინააღმდეგ მიმართული დასავლეთის მეცადინეობა, რა თქმა უნდა, ნეგატიურად იმოქმედებს მსოფლიო წესრიგზე, მსოფლიო მოსახლეობის ყოფასა და საქართველოს ეკონომიკურ პოტენციალზე.

მე არ ვფიქრობ, რომ ჩინეთი ასე მარტივი საკბილო იყოს და მას განვითარების საფრთხეები შეექმნას, თუმცა მის წინააღმდეგ მიმართული კოლექტიური დაპირისპირება უთუოდ გამოიწვევს **ეკონომიკური დაძაბულობის ზრდას** - აშშ და ჩინეთი ისედაც მწვავე დაპირისპირებაში არიან, მაგრამ თუ ვაშინგტონი პირდაპირ დაიწყებს ჩინეთის საზღვარგარე-

თული პორტების კონტროლსა და შეზღუდვებს, ეს დაპირისპირება კიდევ უფრო გაღრმავდება. სავაჭრო პარტნიორები, განსაკუთრებით, მცირე ქვეყნები იძულებულნი გახდებიან აირჩიონ მხარე, რაც მათ ეკონომიკურ სტაბილურობაზე უარყოფითად იმოქმედებს. ჩინეთი დღეს წარმატებით მართავს მნიშვნელოვან პორტებს საბერძნეთში, აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში და თუ მას შეუზღუდავენ ღირსებით მოპოვებულ ამ შესაძლებლობას, ეს გლობალურ სავაჭრო მარშრუტებზე ფასების ზრდასა და მიწოდების ნაკადების შეფერხებას გამოიწვევს.

გარდა ამისა, ჩინეთის შეზღუდვებს აუცილებლად ექნება საპასუხო რეაქცია აშშ-ის კომპანიების მიმართ და გლობალური სავაჭრო რეჟიმების შეცვლას წაახალისებს. შემცირდება ჩინური ინვესტიციები საქართველოს ინფრასტრუქტურულ პროექტებში, ლოჯისტიკასა და ენერგეტიკაში. საგულისხმოა, რომ საქართველო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო მარშრუტია ჩინეთიდან ევროპაში ტვირთების გადაზიდვისთვის („ერთი სარტყელი, ერთი გზა“ ინიციატივის ფარგლებში). შესაძლოა, აშშ-ის აქტიურმა მოქმედებებმა შეამციროს ჩინური ტვირთების გატარება, რაც ქართულ ეკონომიკას მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში დააზარალებს.

ადრეც მაქვს ნათქვამი და გავიმეორებ, ჩინეთთან პარტნიორული ურთიერთობა, ანაკლიის პორტის მშენებლობისთვის ინვესტირების ჩინური მხარისთვის შეთავაზება, ეს რუსეთის, ჩინეთისა და აშშ-ის (სამი გიგანტი სახელმწიფოს) საქართველოზე გავლენების გაწონასწორებისთვის წინდახედული და ეკონომიკური ბალანსის შენარჩუნებისთვის გადადგმული გონივრული ნაბიჯი იყო. საქართველოს კვლავაც მოუწევს ძალიან ფრთხილი, ამასთან, ყოველმხრივ გათვლილი პოზიციის გამოკვეთა, რომ ერთდროულად არ დაკარგოს ჩინური ინვესტიციები და ამერიკის მხარდაჭერა. უნდა გვესმოდეს, რომ ასეთია პატარა სახელმწიფოს ხვედრი - ორი ზესახელმწიფოს დაპირისპირების მძევალი არ გახდეს და შეინარჩუნოს სუვერენიტეტი, რაც სტრატეგიულად ურთულესი ამოცანაა.

— ცნობილია, რომ ანაკლიის პორტის მშენებლობაში ჩინური კონსორციუმი ჩადებს ინვესტიციას. აშშ-სა და დასავლეთს შორის დაპირისპირების გამწვავების შემთხვევაში, რა საფრთხეები შეიძლება შეექმნას პორტის მშენებლობას?

— ჩინეთსა და აშშ-ის ადმინისტრაციას შორის დაპირისპირება ჯერ კიდევ ტრამპის თეთრ სახლში პირველად შესვლის პერიოდში გამწვავდა. ამ ჯერზე ჩინეთისთვის გავლენების შეზღუდვაზე მოქმედებები განაცხადების დონეზეა და მისი განხორციელება არც ისე მარტივია. ჩინეთის როლსა და გავლენას ნაწილობრივ უკვე შევეხეთ. ანაკლიის პორტის მშენებლობის ინვესტორად ჩინური კონსორციუმის წარმოდგენასთან დაკავშირებით დავამატებ: ანაკლიის პორტი ქვეყნისთვის სიკეთეს მოიტანს, თუ ის დატვირთული იქნება.

მისი მშენებლობა გასული წლის ოქტომბერში უკვე დაიწყო. ზღვის ლანდშაფტში ფსკერის გაღრმავებისა და ტალღამტეხების აშენების სამუშაოები მიმდინარეობს. 2029 წლისათვის დაგეგმილია პირველი ტვირთების მიღება. ტვირთბრუნვის ძირითადი ნაწილი ჩინეთიდან დასავლეთისკენ დაიძვრება. ჩინეთის მეცადინეობით, აქ გაივლის ინდოეთისა და ამ მაგისტრალის გასწვრივ მდებარე აზიის სხვა სახელმწიფოების დასავლეთისთვის განკუთვნილი და დასავლეთიდანაც მომავალი ტვირთები. ჩინეთის მონაწილეობის გარეშე ამ პორტის ეკონომიკური მიმზიდველობა დაბალი იქნება და ის დანიშნულებას დაკარგავს.

ვერ დავიჩემებ, რომ ყველაფერი ასე იქნება. პროექტისთვის ხელშეშლის ბევრი ვარიანტი არსებობს. მათ შორის, მთავარი ის არის, რომ ვაშინგტონი ანაკლიის პორტს ჩინეთის გლობალური გავლენის ერთ-ერთ ფაქტორად მიიჩნევს. ამასთან, შესაძლოა, მიაჩნია კიდეც, რომ ის გამოყენებული იქნება სამხედრო ან დაზვერვის საჭიროებისთვისაც. რუსეთიც ანაკლიის პორტს თავისი ინტერესების შეზღუდვად აღიქვამს და ამდენად, სავარაუდოა, რომ ამ პროექტის სხვაგვარ განხორციელებაზე ზეწოლა საქართველოზეც გაიზრდება. არ არის გამორიცხული, პორტის მშენებლობაზე კიბერშეტევებიც დაიწყოს, ან ბელგიურ კომპანია „ჯენ დე ნულის“ მოუწყონ ინტრიგები, შიდა არეულობებიც გამოიყენონ და ამით ანაკლიის პორტის პროექტი, ცხადია, მნიშვნელოვან დაბრკოლებებს წააწყდება. ასეთ ვითარებაში, საქართველოს სხვა გამოსავალი არ აქვს, აქტიურად უნდა იმუშაოს მხარეებთან, რათა შეძლოს **ეკონომიკური ინტერესებისა და გეოპოლიტიკური სტაბილურობის დაბალანსება**. სანუგეშოდ ის რჩება, რომ ჩინეთთან ულტიმატუმებით და სანქციებით დაპირისპირება ნაკლებად პროდუქტიულია - სი ძინპინის გუნდი მუქარებისა და იარაღის ჟღარუნის გარეშეც მოახერხებს მოძალადისთვის პასუხის გაცემას. ჩინეთის გარდა, ევროკავშირი ანაკლიის პორტის პროექტის განხორციელებაში ვერ ჩაერთვება - მას ამის მზადყოფნა და შესაძლებლობა არ გააჩნია. რუსეთი კი ამ პროექტს მხოლოდ ძალით შეიძლება დაუპირისპირდეს.

თამარ შველიძე

(დასასრული იქნება)

მოკვდა ცხენი, მოკვდაააა!

7 გვ.

გადარეულია ყაბალახიანი ქალი და აშშ-ის ელჩს დასჭყივის, ჩვენ არ ვაღიარებთ მინისტრს და თქვენ ვის შეხვდითო? გაიგონებს ახლა რობინ დანიგანი და მოიძუდგება, ბოდიში, მეტს აღარ ვიზამო...

საელჩოს ამუნათებენ, სალობიე ხართ ამის შემდეგო. ლობიო და სალობიე ფინტიკოზას რომ უყვარს, ისე უნდა და სულაც, „ოფისალობიე“ აქუს დაპატენტებულია, ფანტაზიაც არ აქვთ ამ უბედურებს? ბიჯოო, ისეთი ორთქლის გამოშვება გაუდით აშშ-ის საელჩოს გვერდზე, მალე ბოლი აუვა...

დადგნენ ახლა და აშშ-ის საელჩოს წინ არახუნონ დოლი და ბარემ გარმონიც გაწელონ. აბა, როდემდე უნდა უკმიონ გუნდრუკი „მკვდარ ცხენს“, რით ვერ გაიგეს, რომ მოკვდა, მოკვდაააა!

გააჭირეს საქმე! მაინცდამაინც მე რას მიმიზნებენ იმ თავიანთ მსვლელობა-რიტუალს. რა დავაშავე ზეპატიოსანმა მოქალაქემ, სახლში რომ ვეღარ წავსულვარ 200 დაქირავებული მაწანწალის გამო და ვაგზალზეღა ვაბირჟავებ. გზის გახსნის მომლოდინემ, უარის ნიშნად უკვე იმდენ ვაგზლის ბოზს გავუქნიე თავი, არ ვარ თქვენი კლიენტი-მეთქი, რომ ბოლოს გამატყავებენ და ბორჯომის ვაგზლის კიბეებთან გააკრავენ ჩემს ტყავს...

ამასობაში ნეოფაშისტური მოძრაობის ოფისი ჩემი ვაგზლის ბოზების პოლიტპერსონებად ჩამომყალიბებელმა დავით კირკიტაძემ იყიდა. აწ დაქიშმიშებული იმჟამინდელები ამბობენ, რამდენი ფული ჰქონია ამ ჩვენის გადანგრეულს, ჩვენ 5 ლარად გვაყვირებდა, „შევარდნაძე, გადადექიო“ და იმ ხუთი ლარის მოცემაზეც გვამათხოვრებდაო.

კი, იყიდა „კირკიტამ“, მაგრამ ნეტავ, რანაირად, ვისი ფულით გაჩარხეს ვითომ ყიდვა-გაყიდვის ამბავი და რა პონტში? აბა, ამ ჩვენის კირკიტაძეს დეკლარაციაში ფული არ უჩანს და თუ 1 ლარად იყიდა, რა სპორტია?! ისა და, ფული ხომ არ გაათეთრეს?!

ალამუთის ციხე დაეცაო, — ალამუთის ციხე კი არა, ასპიტების ჩვეულებრივი ტერარიუმი იყო და ასპიტებსვე დარჩათ...

ბატონმა კობახიძემ რომ თქვა, ერთ-ერთი ორგანიზაციის მაღალჩინოსანმა მითხრა, ჩვენს გზავნილებს უნდა გაჰყვეთ ომში ჩართვაზეო და უარი რომ ვუთხარი, ორჯერ გამიმეორა, ყრუ კედელს ეჯახებითო, მესამედაც ეთქვა იმ ჩვენის მონდომებულს, დაეზარა?

საერთოდ კი, ყრუ კედელი შეგვაშინებს? იმ სსრკ-ის „ზნაკკაჩესტვიანი“ რკინის ფარდიდან რომ ვიშვლიპეთ, ისეთ სოლს შევასკდით შუბლით, დღემდე შუბლს ვიზელთ ტვინშერყეულები, მაგრამ მაინც იმედიანად ვართ, თვითმკვლელი „დასავლეთის“ ნაბუთქის რა გვცოდნია...

მოკლედ, ისეთი ამბებია, „მზეთუნახავი“ რომ ჰყავთ დასახსნელი, მხოლოდ მის უმწიკვლო არმიას კი არა, აღარავის ახსოვს — აღარც დასაჩუქრებულ ქალებს, აღარც რიგში მდგომებს, ჯაგარი აიშალეს კი არა, ხეირიანად ყურიც კი არ შეიბერტყეს...

იმათ კი არა, ამათაც აღარ ახსოვთ, ბრალმდებლებს, რომ „მზეთუნახავი“ უმზეობის გარდა, არაფერს უჩივის და კუთვნილ ადგილზე უნდა გადაიყვანონ მზის სანახავად, — ჯანმრთელი ადამიანის გამოკეტვა კლინიკის კედლებში უკანონობასთან და შერჩევით ნის გამოკეტვა კლინიკის კედლებში უკანონობასთან ერთად, ერთგვარი სადიზმიცაა...

ზურა ოშხერელი





დაცლილ რეგიონებს თუ არ მივხედეთ, ცარიელ ტერიტორიებს სხვები შეავსებენ!

გვესაუბრება „სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის“ ხელმძღვანელი ლევან მამალაძე:

— ბატონო ლევან, ტრამპმა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ პუტინის განცხადებას პერსპექტიული, მაგრამ არასრული უწოდა. პუტინი ზავის დადებას გარკვეული პირობების სანაცვლოდ თანხმდება. რა განვითარებას ხედავთ ამ კუთხით?

— ვფიქრობ, ცეცხლის შეწყვეტა, საკითხის გადაწყვეტას არ ნიშნავს. დიდმა პოლიტიკოსებმა თქვეს, მოდი, ცეცხლის შეწყვეტის საკითხი დავაყენოთ და თუ რუსეთი ამაზე უარს იტყვის, ყველაფერი მას დავაბრალოთო. რუსეთმა იცის ამ თამაშების შესახებ და ამიტომ ამბობს, ჩვენ მზად ვართ ცეცხლის შესაწყვეტად, მაგრამ არსებობს შეკითხვები: რისთვის გამოიყენებს 30-დღიან ცეცხლის შეწყვეტას უკრაინა — მობილიზაციისთვის, ძალების გადასინჯვისთვის თუ ახალი ტექნიკის შეყვანისთვის, როგორ მოხდება კონტროლი, იდენტიფიკაცია, თუ რომელმა მხარემ დაარღვია შეთანხმება?! აქვე მნიშვნელოვანია კურსკის თემა. ზელენსკის გადაწყვეტილი ჰქონდა, კურსკი მოლაპარაკებებისთვის გამოეყენებინა, რამაც აზრი დაკარგა — რუსები გაზის მილში გაძვრნენ და უკრაინელებს სუჯაში ზურგიდან დაარტყეს.

რუსეთი ფრონტის მიმართულებით ყველგან უტევს. ასე რომ, ცეცხლის შეწყვეტის სურვილზე მეტად, ჩემი აზრით, მხარეები ომის გასაგრძელებლად მოემზადებიან. ომის დასრულების სურვილს ვერ ვხედავ. კი ბატონო, ტრამპი ომის დასრულების მომხრეა, მაგრამ ევროპელებს იგივეს ვერ ვამჩნევ. ზელენსკი დასავლეთის თამაშს თამაშობს და ქვეყანა ამას შესწირა. პუტინიც მზადაა, რომ ომი გაგრძელდეს.

— როგორც იკვეთება, ომი ყველას აწყობდა. ამის მიზეზი რა იყო?

— მიზეზი შემდეგია: ომის პირველ ეტაპზე ძველი იარაღი იქნა უტილიზირებული. რუსეთი ძველ იარაღს იყენებდა. მთელი ევროპიდანაც ძველი საბჭოთა იარაღი გამოიტანეს, ასევე, უტილიზაციისთვის განკუთვნილი ნატო-ს შეიარაღება. ევროპამ მოძველებული ტანკები, რასაც ვერსად ყიდდა, უკრაინას მიაწოდა. ომის მეორე ეტაპზე შედარებით ახალი იარაღი გამოიყენეს და შემდეგ სრულიად ახალ იარაღზე გადავიდნენ, რასაც უკვე ფინანსები სჭირდება. ამიტომ აშშ-ს ომის გაგრძელება ეკონომიკური თვალსაზრისითაც არ აწყობს. ამერიკა იმდენ იარაღს ვეღარ აწარმოებს. ახლა თავისი ფულით რომ აწარმოოს იარაღი და მერე უკრაინას მიაწოდოს, ამას ეკონომიკური თვალსაზრისით გამართლება არ ექნება. ტრამპი ბიზნესმენია და ეს ყველაფერი გათვლილი აქვს.

— გამოდის, დროებითი ცეცხლის შეწყვეტა ომის დამთავრებას არ ნიშნავს?

— დღეს ფრონტის ველზე, ყველა მიმართულებით რუსები აქტიურობენ. ბევრი ფაქტორი მეტყველებს იმაზე, რომ შესაძლოა, ომი კვლავ გაგრძელდეს. ცეცხლის შეწყვეტის დრო, ალბათ, ომის დამთავრებაზე შეთანხმებისთვის უნდა გამოიყენონ. რუსეთი ტერიტორიების დათმობას არ აპირებს, რაც მას კონსტიტუციაში აქვს შეტანილი. უკრაინასაც უნდა, რაღაც დარჩეს. მან ტერიტორიების საკითხი ჯერ კიდევ მინსკის მოლაპარაკებისას

გაუშვა ხელიდან. მაშინ ზელენსკიმ სხვა თამაში ითამაშა. შინაგანი რწმენა, რომ ომი მალე შეწყდება, არ მაქვს.

— როგორც ტრამპმა აღნიშნა, თუ პუტინი ზავს არ დასთანხმდება, იგი მზად არის, მკაცრი ფინანსური ზომები მიიღოს, რაც რუსეთს გაანადგურებს. რა ბერკეტი აქვს ტრამპს ამ კუთხით?

— ფაქტობრივად, ამ ეტაპზე რუსეთი სვიფტიდან გამორთულია, მასთან სავაჭრო ურთიერთობები მინიმუმზეა დაყვანილი. რუსეთს თავისი საბანკო სისტემა აქვს შექმნილი, თანაც ჩინეთთან ერთად უკვე ააწყო სავაჭრო ურთიერთობები. ეს რეალობაა. რუსეთში დოლარის ბრუნვა აღარ ხდება, ამერიკამ ნაღდი დოლარის მიწოდება შეუწყვიტა. სხვა რა ბერკეტი რჩება ამერიკას? — ერთადერთი, შეუძლია, ურანი აღარ იყიდოს, რაც თავად მასვე დააზარალებს. რუსეთი და ამერიკა, ძირითადად, ძვირფასი მეტალების, ურანის, ატომური ენერგეტიკისა და კოსმოსის კუთხით თანამშრომლობენ, რისი შეწყვეტა, თავად ამერიკას დააზიანებს.

ასე რომ, ვერ ვხედავ, ტრამპს რამე სერიოზული ბერკეტი გააჩნდეს, რათა რუსეთი საგრძნობლად დააზიანოს.

ტრამპმა განაცხადა, რომ რუსეთ-უკრაინის ომი ბირთვულ, მსოფლიო ომში არ გადაიზრდება. აქ კიდევ ერთი მომენტია გასათვალისწინებელი — გამორიცხული არ არის, ომი გაგრძელდეს, უფრო მძიმე ვითარება შეიქმნას და რუსეთმა ამით წინ წაიწიოს. ტრამპმა თავიდანვე აღნიშნა, რომ, რაც უკვე რუსეთს მოპოვებული აქვს ამ ომით, იმის დაბრუნებას ვერ მოსთხოვს. შესაძლოა, შეთანხმებაც ამ მიმართულებით მოხდეს. ცალკე თემაა, რა ბედი ეწევა უკრაინას, სადაც პოლონეთის, უნგრეთის, სლოვაკეთის, რუმინეთის ინტერესები იკვეთება. ტერიტორიებზე, რომელიც სტალინმა მეორე მსოფლიო ომის შედეგად უკრაინას შეუერთა, ყველას თვალი აქვს დადგმული.

ევროპელებს ომის საფრთხე სჭირდებათ, რუსები შეტევაზე არიან გადასული და გაჩერება დიდად არ აწყობთ, ამერიკელებს კი სურთ, ეს პრობლემა დროზე მოიშორონ, ტრამპს წინ ბევრად დიდი გეგემები აქვს.

— ბატონო ლევან, ახლახან თქვენს ფეისბუქზე საზოგადოებას ჰკითხეთ, რას ფიქრობენ სირიელი ქრისტიანი და ალავიტი ოჯახების ჯავახეთში ჩამოსახლებაზე, რამაც დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია.

— სირიაში ქრისტიანები, ალავიტი ოჯახები საშინელ დღეში არიან. ისინი, ისტორიულად, თურქების მოწინააღმდეგენი იყვნენ. მათი გადმოსახლება ჩემი მიზანი არ ყოფილა, ამის თავი არც არავის აქვს, არც შესაბამისი პირობები არსებობს და არც ხელისუფლება, საზოგადოება არის ამისთვის მზად. ჩემი ამოცანა იყო, ამ შეკითხვის დასმით გამეგო, რამდენად აქვს საზოგადოებას გათავისებული საქართველოში შექმნილი უმძიმესი დემოგრაფიული ვითარება. პირდაპირ რომ დამეწერა, ჩვენ მძიმე დემოგრაფიული პრობლემები გვაქვს-მეთქი, ამას ყურადღებას არავინ მიაქცევდა. ხოლო, როცა ვიკითხე: ალავიტი ოჯახები ხომ არ ჩამოვასახლოთ-მეთქი, ამან დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, რითაც დავინახე, რომ საზოგადოებისთვის ეს ერთ-ერთი აქტუალური თემაა. სხვაგვარად, სახლში მყოფი ადამიანი ამ პრობლემას ვერ გრძნობს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, პოზიციას აფიქსირებს. ეს ერთგვარი ტესტია. მინდა, ავხსნა, რატომ ვახსენე ჯავახეთში ჩამოსახლება. მდგომარეობა მძიმეა. მშვიდად ყოფნის ფუფუნება არ გვაქვს! დაცლილ რეგიონებს თუ არ მივხედეთ, ცარიელ ტერიტორიებს სხვები შეავსებენ! სოფლები უკაცრიელ ნასახლარებად იქცა. სასაზღვრო რეგიონებში უმძიმესი მდგომარეობაა შექმნილი, განსაკუთრებით კი, ჯავახეთში.

მინდა გაგახსენოთ, რა როლი შეასრულა მეხუთე კოლონამ ჯავახეთში ერთ-ერთი გამორჩეული კერის — ბავშვთა სახლის დახურვაში. ეს ბავშვები იქვე რომ გაზრდილიყვნენ, დასახლებულიყვნენ, ესეც კი მოშალეს. მეხუთე კოლონა სწორედ აქეთ იყო მიმართული, რომ ჯავახეთში, დაცარიელებულ სასაზღვრო ტერიტორიებზე სახელმწიფო ეროვნული პოლიტიკა არ გატარდეს. ამიტომ ისეთ პირობებს ქმნიან, რომ ამ მწვავე საკითხზე არავინ ილაპარაკოს. მე არც თანამდებობა მაქვს, არც დიპლომატია მჭირდება, რათა ვინმემ პრობლემის წამოწევაში შემეზღუდოს. იცით, რატომ წამოვწიე ეს საკითხი? მინდა, ამ დარგის უბადლო სპეციალისტის, პროფესორ ანზორ თოთაძის გაფრთხილება გავიმეორო, რასაც ყურადღება არავინ მიაქცია: საქართველო იმ ზღვარზე დგას, როცა ერი თვითაღდგენის უნარს კარგავსო. 2015 წელს 50-60 ათასამდე ბავშვი იბადებოდა, ახლა — 30 ათასამდე იბადება. ქორწინებებმაც იკლო, ქართველი ერი დაბერდა. ასევე ხდება ქვეყნიდან მოსახლეობის დიდი რაოდენობით გადინება. დარწმუნებით არც კი ვიცით, რა ადამიანური რესურსები შემოგვრჩა და რა დროა ჩვენი ხალხის განკარგულებაში, რომ ეს ეროვნული პრობლემა დაიძლიოს, შევინარჩუნოთ ის, რაც გვაქვს და არ აღმოვჩნდეთ იმ ზღვარს მიღმა, როცა ერი აღდგენის უნარს დაკარგავს. საბჭოთა პერიოდის შემდეგ, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, წალკის რაიონში სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის მასიური ჩასახლება შევძელით. ეს დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, ქართველების სხვა რეგიონში პირველი მასიური გადასახლება იყო.

მოდი, გავაანალიზოთ, რა ხდება ჯავახეთში, რომელიც სასაზღვრო რეგიონია. ზოგადად, სოფლები ყველგან დაცარიელებულია. მიგრანტების ძირითადი ნაწილი სახლებს ქალაქში ყიდულობს. თუკი ვინმე უკან დაბრუნდა, ქალაქში მოდის, ახალგაზრდობა, ვინც იქ ისწავლა, აქეთ აღარ ბრუნდება. შიდა რესურსი, ფაქტობრივად, არ გვაქვს.

ამიტომ, თუ გვინდა, ამ მიმართულებით წინ გავიხედოთ, ეროვნული პოლიტიკა უნდა გაგვაჩნდეს. ტერიტორია მაშინ არის შენი, როცა იქ შენი მოსახლეობა სახლობს და სახელმწიფოებრიობას აძლიერებს! რისთვის ვიბრძვით, ან რად გვინდა სიმდიდრე, ბიზნესი ან სხვა რაიმე ფასეულობა, თუკი ჩვენი ათასწლოვანი სამშობლო გაქრება და სხვა ტომთა ხელში გადავა! ამიტომ წამოვწიე ეს საკითხი. მალე გამოვაქვეყნებ მოსაზრებებს პრობლემის მოგვარების შესახებ. თანხების მოგროვება უნდა დავიწყოთ, ასევე, შესაქმნელია სახელმწიფო პროგრამა, გარდა ამისა, უნდა შეიქმნას ფონდი, რაშიც წვლილს კერძო პირებიც შეიტანენ. აქ ორი მიმართულებაა მნიშვნელოვანი — სტრატეგიული, რათა დაცარიელებული ტერიტორიები, სოფლები შევავსოთ, საკარმიდამო ნაკვეთები შევიძინოთ, შევქმნათ ადგილობრივი რესურსების გამოყოფის სოციალური და კომუნალური სტრუქტურა. ამ პროგრამით ხალხი ადგილზე უნდა დავამაგროთ. ასე შესაძლებელი იქნება, ქალაქში მცხოვრები პირი სოფელში წავიდეს და ამ პროგრამის დახმარებით, მიწას მიხედოს. მაგალითად, კარგი იქნება, თუ იქ მიგრანტების დამაგრებას შევძლებთ. ანუ, ჩვენს სასაზღვრო რეგიონებში, ეროვნული ინტერესიდან გამომდინარე, სახელმწიფო პროგრამის დახმარებით ხალხი იქ დავამაგროთ, რათა ექსპანსია შევაჩეროთ. ასმილიონიან მეზობელს თავისი ინტერესი აქვს, ჩვენ ჩვენი უნდა განვახორციელოთ. საკმაოდ საშიში, სერიოზული საფრთხეა, რომ დაცარიელებული სასაზღვრო ტერიტორიები გვქონდეს. აი, ამიტომ წამოვწიე ეს თემა. კარგი იქნება, თუ დაცარიელებულ რეგიონებში მოსახლეობის დახმარება მეტად მოხდება. მნიშვნელოვანია საქართველოს მიწების დაცვა, რათა მას უცხოელები არ დაეპატრონონ. მთელი კომპლექსი უნდა აიგოს არა ვინმეს დასაჩაგრად, არამედ სახელმწიფოს გასაძლიერებლად. ადრე ჩვენი წინაპრები გადარჩენას ბრძოლით ახერხებდნენ. დღეს ბრძოლა არ გვაქვს და ისე ვქრებით. ამას შველა სჭირდება. ამიტომ ამ ტესტით შევეცადე, ეს თემა გამემწვავებინა. იმედი მაქვს, აქტიურობა არ შემცირდება. ვიმეორებ, რად გვინდა ვინმეს რაიმე, თუკი სამშობლო გაქრა. ეს ყველამ უნდა გავითავისოთ.

თამარ შველიძე

ლიბერალური ბოროტება

დაპაუზებული ომი არ იქნება!

აშშ-ის მმართველად ტრამპის მოსვლით ძირეულად რა შეიცვლება, წარმოდგენა არ მაქვს, რადგან მიმაჩნია, რომ ტრამპის მოსვლა სწორედ იმ ძალების შორსგამიზნული თანხმობით მოხდა, რომელთაც ვითომ ებრძვის. ამერიკის სიძულვილმა ისე გაიდგა ფეხი მსოფლიოში, რომ სხვაგვარად უკვე შეუძლებელი გახდა მსოფლიოზე ბატონობის სურვილის განგრძობა...

ადრე იყო, ახლა აღარ ვიცი, თუ ისევ არის „კეთილი“ და „ბოროტი“ პოლიციელის „ინსტიტუტი“, როცა ეჭვმიტანილს ჯერ „ბოროტი“ პოლიციელი ამუშავებდა გვარიანად, შემდეგ „კეთილი გამოჩნდებოდა“ და დაუყვავებდა, ნდობაში შედიოდა დაკავებულთან, — ზუსტად ასეა ტრამპის ამბავიც, მსოფლიოს აშშ-ის კეთილ პრეზიდენტად გამოუცხადეს, ანუ მსოფლიოს გარკვეულ ნაწილს ახლა კეთილი ჟანდარმი ეყოლება სათავისო საქმეების მომწესრიგებლად. ვისთან რას ოვაჭრებს, ეს უკვე სხვა საკითხია...

„ტრამპი მშენებელი კაცია, ომი არ უნდა!“ — ტრამპს ვინ ეკითხება, რა უნდა? შიშველხელება მშვიდობისმოყვარე გუნდი ომისმოყვარე შეიარაღებულ ბანდას სიმართლით დაუპირისპირდა და მოუგო? — „ათას ერთ ღამეშიც“ კი არ არის ასეთი ბრიყვული ზღაპარი...

არაადეკვატური მდგომარეობა რომ შეიქმნა სახელდახელოდ, ფაქტია, ამდენად, შეუძლებელია, გულთამხილავივით მარტივად დაალაგო ელვისებურად ცვალებადი მოვლენების მოსალოდნელი შედეგი.

სახეზეა საკვირველი და ყოვლად მოულოდნელი, ამასთანავე, აუხსნელი მოცემულობა!

ტრამპმა ჩრდილოატლანტიკური ალიანსისგან დისტანცირებაზე რომ სიტყვა დაასველა და რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის მომხრეობა გამოხატა, ამით აშშ-მა თითქოს ხელი დაიბანა და ომს გამოერიდა, მაგრამ ევროპელი ომისმოყვარეები ისევ უკრაინაში ომის გაგრძელებაზე არიან გაფაციცებულები. ამას თან მერცის გამარჯვება დაერთო, რომელიც ასევე, პროქსი ომის მომხრეა.

ელემენტარულია, როდესაც ევროპის ქვეყნების ნაწილი უნდობლობას უცხადებს იმ ევროპის კავშირს, რომლის წევრიც თვითონაც არის, რისი იმედი აქვს რუსეთთან ომში აშშ-ის გარეშე დანარჩენ ევროპას, როცა თითოეულ მათგანს საკუთარი ქვეყანაც თავზე ემხობა?

იმთავითვე, როდესაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, რუსეთმა ამ ნაბიჯს „სპეცოპერაცია“ უწოდა, ე. წ. დასავლეთმა კი ომის გარდა ყველაფერი: „თავდასხმა“, „კონფლიქტი“, „სამხედრო დაპირისპირება“. კარგად მახსოვს უკრაინის მხარის აღშფოთება, რომ მათ ომი ჰქონდათ რუსეთან და არა კონფლიქტი და ჩემ მიერ დასმული შეკითხვაც მახსოვს, თუ ეს ომი არ არის, აბა, ომი რას ჰქვიაო?

შემდეგ, როდესაც უკვე „მეგობრულად“ ღიად ჩაერთვნენ ცალკეული ქვეყნები და სამხედრო შეიარაღებით გვერდში ამოუდგნენ უკრაინას, ჩვენთან ყური გაიხედნა და „რუსეთ-უკრაინის ომი“ დაერქვა, მაგრამ ვუსმენ და, მაინც „კონფლიქტად“ რჩება, „ამ ომშიო“, მხოლოდ სიტყვად ამბობენ ფრაზაში.

ნელ-ნელა გაჩნდა დამნაშავე ზელენსკიც (მისი ე. წ. გუნდი), რომელსაც შეეძლო უკრაინისთვის „ამ კონფლიქტის თავიდან არიდება და არ აირიდა.“ ვერაფერს იტყვი, სიმართლეა, ზელენსკის გარდა, იმ სიმართლეს არავინ იტყვის, რომ უკრაინას ეს უბედურება ყველამ დაატეხა, მთელმა კრებსითმა დასავლეთმა, ზელენსკი მხოლოდ უპასუხისმგებლობამ, სიხარბემ და განდიდების მანიამ ჩაითრია ადვილად.

ახლა რა ხდება, „მამაცმა ზელენსკიმ“ და რეალურად, მამაცმა უკრაინელმა მეომრებმა ომი უნდა განაგრძენ ბოლო უკრაინელ ჯარისკაცამდე? კი მაგრამ, ზელენსკი კი არა, უკრაინის სახელით კრებსითი დასავლეთი იბრძვის და ვინ ეკითხება ზელენსკის, როდის უნდა დასრულდეს უკრაინის მიწასთან გასწორება?

ახლა როგორც ჩანს, ამ კრებსით დასავლეთს აშშ და ცალკეული ქვეყნები აკლდება და, თვით იმ დარჩენილ ევროპულ ქვეყნების ომისმოყვარე ე. წ. ლიდერებს როგორ წარმოუდგენიათ რუსეთთან უკვე ნამდვილი ომი, პირადად მე, ვერ წარმომიდგენია. რანაირად აქვთ საკუთარი სამხედრო ძალის იმედი, როცა მთელმა ნატომ ძვრა ვერ უყო ერთ რუსეთს?!

სანქციებით აშინებდნენ რუსეთს და სანქციების დაწესებით ვერაფერი დააკლეს თავადვე, პირიქით, უფრო გაამდიდრეს, რუსეთმა ეკონომიკური მოცულობით მე-13 ადგილიდან მე-5-ზე გადაინაცვლა, სამხედრო მრეწველობა უმაღლეს დონეზე აიყვანა და დანარჩენ მსოფლიოში „სამეგობროებს“ ქმნის, ე. წ. დასავლეთი კი რუსეთის წინსვლის პარალელურად, იფიტება.

ომების ისტორიის განმავლობაში ვინმეს გაუგია, რომ დასაპყრობი ქვეყნის დედაქალაქს მტერი გვერდს უვლიდეს? მაშ, რატომ არ ანგრევს რუსეთი კიევს და არა მხოლოდ კიევს?

პრესკონფერენციაზე იქედნური ღიმილით რომ ამბობს რუსეთის პრეზიდენტი, დადგან სამიზნე კიევში და დაიცვან ყველანაირი საშუალებით, მე კი გავუშვებ ჩემს რაკეტას და ვნახოთ, რა მოხდება, ვფიქრობ, ორივე მხარისთვის სასარგებლო იქნება ამის ნახვაო. ის რუსეთი ეპატარავება თვალში „დიდ ევროპას“?

ტუსკს უკითხავს და გამეღიმა, — პარადოქსია, 500-მილიონი ევროპა რატომ სთხოვს 300-მილიონიან აშშ-ს, რომ დაეხმაროს 140-მილიონიანი რუსეთის დამარცხებაშიო?

განვავრცობდი, მაგრამ მოკლედ ვიტყვი, — უპირველესად იმიტომ, რომ იმ საზღვრებმოშლილი და გაერთიანებული მიწის ხუთასი მილიონი მოსახლეობიდან ერთ მილიონს ვერ გამოარჩევ, რომელსაც საერთო მიწის დაცვა რამენაირად აღქმული აქვს, რადგან ეს მიწა მისი სამშობლო არ არის! და კიდევ, საკუთარი ქალები ვერ დაუცვიათ, ქუჩაში უუპატიურებენ და ფიზიკურად უსწორდებიან უცხოტომელი მამრები და ხმას ვერ სცემენ. სად სცალიათ, გასათხოვრად არიან განწყობილები... ჰიტლერმა ერთმანეთის მიყოლებით დააჩოქა თავმომწონე ვროპა, რუსეთი კი ევროპის ცენტრში ერთი „ორეშნიკის“ დამიზნების წარმოდგენითაც კი უკვე ბნედას სცემს, გინეკოლოგი ურსულას ჭკუაზე რანაირად არიან...

რუსეთი არ დაანგრევს იმას, რაც თავისივე აღსადგენად და საპატრონოდ აქვს გაწერილი, მაგრამ მიწასთან გაასწორებს, როგორც ასწორებს ყველაფერს, რაც და ვინც ფეხებში მოედება. არ ღირდა ბუნებით ავი მძინარი დათვის გაღვიძება...

სიტყვამ მოიტანა და, წალკოტ აფხაზეთს პირიქით, იმიტომ არ უვლის, რომ ეს, მისთვის წერტილისოდენა ტერიტორია თავისად კი არ უნდა, მხოლოდ ვაჭრობის საგნად სჭირდება...

როგორც იკვეთება, თუ ადრე რუსეთი უკრაინის ოთხი რეგიონისთვის ითხოვდა ავტონომიას, დემილიტარიზაციას და დენატიფიკაციას, ახლა მოუწევთ იქით შეხვეწნა, რომ გაჩერდეს და წაიღოს, რაც უნდა, ოღონდ სხვა რეგიონებს თავი დაანებოს.

„სხვებზე“ გამახსენდა, ნეტავ რატომ არ იყვნენ მიწვეული ევროპულ სამიტზე ბალტიისპირეთის ქვეყნები, ესტონეთი, ლატვია და ლიეტუვა? „აქეთ“, რუსეთისკენ, ყველაფერი ლოგიკურად ლაგდება და მის ლოგიკაში, რომ ბალტიისპირეთი აკლია, იყნოსა „ევროპული სამიტმა“?

მოკლედ რომ ვთქვათ, უკრაინა „ძურიად“ გამოიყენეს და აჭმევენ მგელს — შეაიარაღეს, გაწვრთნეს, თ -ში გაწევრიანებით თითზე დაიხვიეს, ყველანაირი დახმარება აღუთქვეს, დაახარჯეს მილიარდები, ჩააშლევინეს მოლაპარაკება, დაახოცინეს ამდენი ხალხი, ყოველმხრივ დაანგრევინეს უკრაინა და ახლა ზოგი ეუბნება, სულ კარგად ბრძანდებოდეო, ზოგი — უკრაინა ევროპა არ არისო, თანაც, უკრაინის დაბრუნება 2014 წლის საზღვრებში არარეალისტური მიზანია და ევრატლანტიკური ალიანსიც უნდა დაივიწყოთო.

უკრაინის „გაბრწყინება“ რა იქნება, ტერიტორიებმოგლეჯილი და დაუპაუზდება ომი, ამავდროულად, რა ტერიტორიაც შერჩება, იქ იშვიათი ლითონების მოსაპოვებლად გუგულის ბარტყად ჩაისვამს აშშ-ს? ის ძირითადი ტერიტორიები, სადაც ლითიუმი, ტიტანი და ურანის საბადოებია, უკვე რუსეთის ხელშია და დარჩენილი მცირედიც ახლა უკვე ახალ ბუად ქცეულმა აშშ-მა უნდა გამოსცინცლოს?

ამ ეტაპზე, ომისმოყვარე ევროპა ჯერ კიდევ უჩვენებს ენა-პირს უკრაინას, მაგრამ ბოლოს რას უჩვენებს, საკითხავია და ახლა მაინც თუ კიდევ მართლა სჯერა უკრაინას რაიმე დაპირების, დაუჯერებელი ამბავია...

კი, აშშ-ის და მისი საგარეო პოლიტიკის წაქეზებული არიან მისი ევროპელი ვასალებიც და უკრაინაც, მაგრამ ახლა ახალი პრეზიდენტის ახალ ადმინისტრაციას სულაც არ მიაჩნია, რომ წინამორბედი პრეზიდენტების ცოდვები თვითონ უნდა აიკიდოს და ზღოს, მილიარდების დაბრუნებას კი მოითხოვს, რადგან ეს აშშ-ელი გადასახადების გადამხდელების ფულია.

რეალურად, ევროპელმა ომისმოყვარეებმა ზელენსკის ზავზე ათქმევინეს უარი, იშვიათი მინერალების გაცემაზე კი არა...

უცნაურად არ ჩანს, რომ საჯაროდ ათქმევინეს ზელენსკის მშვიდობაზე უარი და არა ისე, როგორც წესით უნდა ყოფილიყო? — პრეზიდენტები ხვდებიან ერთმანეთს პირისპირ, შემდეგ გამოდიან და აცნობენ პრესას და საზოგადოებას, როგორ გადაწყვიტეს ესა თუ ის საკითხი. როდესაც რიგით ადამიანს უჩნდება შეკითხვა ამ პროტოკოლიდან ამოვარდნილ შეხვედრაზე, პუტინის მოტყუება ეჩვენება ვინმეს ადვილი? ეს ასე იკითხება — ჩვენ მშვიდობა გვინდა, მაგრამ ზელენსკი და მის უკან მდგომი ევროპა არ ჩერდებიანო.

ზელენსი თუ მასხარაა, ტრამპი — შოუმენია!

ერთი-ერთზე ახდა ბრძნული გამონათქვამი — როდესაც მასხარა სასახლეში გადადის, მასხარა კი არ ხდება მეფე, არამედ, სასახლე ხდება ცირკი. ზელენსკი რომ პრეზიდენტი გახდა, კლოუნი სასახლეში წავიდა და მეფედ კი არ იქცა, სასახლე აქცია სისხლიან ცირკად; მოწოდებით შოუმენი ტრამპი პრეზიდენტი გახდა და თეთრ სახლში დადგა შოუ, — თავადვე თქვა ზელენსკის შეხვედრის ბოლოს, მოლაპარაკება თუ ვერა, შოუ ხომ მაინც შედგაო.

კი, შოუ შედგა, მაგრამ დაპაუზებული ომი არ შედგა!

აშშ-ის მხრიდან დაპაუზებულ ომზე ახლა დანიას და პანამას აქვთ საფიქრალი, აღმოსავლეთ ნახევარსფეროში კი, რუსეთის მხრიდან დაპაუზებულ მშვიდობაზე, ევროპას, ხაზგასმულად, ბალტიისპირეთის აღმოსავლეთ მხარეს...

თვით ტრამპს როგორ ესახება აშშ-ის მშვიდობის მტრედობა, სანამ იგივე ჯონსონები და ბლექ როქები არ ათქმევინებენ უარს ომზე ზელენსკის, რომელთა ბრძანებითაც მოლაპარაკება ჩაშალა, ვნახავთ.

მანამდე კი, აშშ აცხადებს, რომ დაპაუზებულ ომში ის არ ჩაერევა, უკრაინას მხოლოდ მას შემდეგ დაეხმარება, როდესაც უკრაინა მტკიცედ გადაწყვეტს, რომ მყარი მშვიდობა უნდა!

ეჭვშეუვალად ერთია — ნეოლიბერალიზმი თვითონვე გადაიფიქრეს მისმა დამამკვიდრებლებმა და გარდამავალი საფეხურის გარეშე პირდაპირ კონსერვატიზმი გადმოშალეს.

რატომ?

ორი ვარიატია, ან შეასრულეს ის, რაც მათ გეგმებში იყო, ან მიხვდნენ, რომ ისე დაულპათ შიგთავსი, რომ მსოფლიო გაიხადეს მტრად.

სანამ ანგლოსაქსურ კლანურ ოჯახებს ვინმე არ ჩამოშლის, აშშ-ის შეცვლა იგივეა, მგელს რომ კრავის ნიღაბი ჩამოაცვა და „ბეეე“ იძახოს!..

დაპაუზებული ომიც არსებობს და დაპაუზებული მშვიდობაც — ორივე ვიცი, რანაირია, მაგრამ დაპაუზებული ბოროტება პირველად დგება და რანაირი იქნება, არ ვიცი...

მაია ჯელიძე

(გაგრძელება იქნება)

„მშვიდობის საფუძვლების ანალიტიკური კვლევების ცენტრის“ მძიმე ტვირთი

პარალელურად ეგზავნებათ ბატონებს:
ბიძინა ივანიშვილს
ირაკლი კობახიძეს
შალვა პაპუაშვილს

ცენტრის ერთადერთი დანიშნულებაა, დააწყებინოს თბილისს, სოხუმს და ცხინვალს ერთობლივი მუშაობა საქართველოს მშვიდობიანი გზით გამთლიანების საკითხზე. რატომ უნდა დააწყებინოს კონფლიქტის მხარეებს ერთობლივი მუშაობა არასამთავრობო სტრუქტურამ და არა თავად ოფიციალურმა თბილისმა, ან თუნდაც გაერო-მ? ამ შეკითხვაზე მრავალჯერ მიმიცია განმარტება საგაზეთო პუბლიკაციებშიც და ხელისუფლებისთვის გაგზავნილ წერილებშიც, მაგრამ თუ საზოგადოების დაკვეთა იქნება, მორიგ პუბლიკაციაში მომიწევს განმარტების მიცემა.

ცენტრმა არა მხოლოდ უნდა დაითანხმოს მხარეები ერთობლივ მუშაობაზე, არამედ სამუშაო რაუნდების ჩასატარებლად უნდა შესთავაზოს მათ საკუთარი ოფისები, რომლებსაც წინასწარ და საგანგებოდ მოაწყობს თბილისში, სოხუმში და ცხინვალში. მხარეთა ერთობლივი მუშაობის მიზანი უნდა გახდეს „საქართველოსთვის გამთლიანებისთვის ისეთი მოდელის შერჩევა, რომელიც მკაფიოდ გამოკვეთავს თბილისის, სოხუმისა და ცხინვალის პოლიტიკურ თანასწორობას, ანუ საქართველოს გამთლიანების გარანტიას ცენტრი ხედავს მხარეთა პოლიტიკურ თანასწორობაში“. თვით ცენტრშიც კი, რომელმაც უნდა დაითანხმოს თბილისი, სოხუმი და ცხინვალი ერთობლივ მუშაობაზე, უნდა იგრძნობოდეს მხარეთა პოლიტიკური თანასწორობა. დღეს ჩემს ცენტრში ეს არ იგრძნობა, ვინაიდან მას წარმოვადგენ მხოლოდ მე, ეროვნებით ქართველი.

ამიტომ, ჩემთან ერთად ცენტრში აუცილებლად უნდა მუშაობდეს აფხაზი - აფხაზეთიდან და ოსი - ცხინვალის რეგიონიდან. მხოლოდ ამ შემთხვევაში დაინახავენ თბილისი, სოხუმი და ცხინვალი, რომ ცენტრი, რომელიც მათ ერთობლივ მუშაობას სთავაზობს, არ იქნება მიკერძოებული რომელიმე მხარის მიმართ. ჰოდა, სწორედ ამ მიუკერძოებელმა ცენტრმა, როდესაც დაითანხმებს თბილისის, სოხუმსა და ცხინვალს ერთად მუშაობაზე, უნდა შესთავაზოს მათ ამ პროცესში მოსკოვისა და ვაშინგტონის ჩართვის იდეა. გასაგები მიზეზის გამო, მხარეთა ერთობლივი მუშაობის პროცესში მოსკოვის ჩართვას, ნებისმიერ შემთხვევაში მოითხოვს სოხუმიც და ცხინვალიც, მაგრამ ცენტრი ხედავს მოსკოვისა და ვაშინგტონის ერთად ჩართვის აუცილებლობას და მოგახსენებთ, რატომაც

ამერიკა და რუსეთი, მათი ბირთვული პოტენციალიდან გამომდინარე, მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოებად მიიჩნევიან და ასეც არის, მაგრამ პოლიტიკური დაპირისპირების გამო მუდმივ ომში არიან, რომლებსაც აწარმოებენ სხვის ტერიტორიაზე და სხვისი ხელებით, მათი მხოლოდ იარაღი და ფულია. გამოკვეთილი სიძლიერის გამო ორივე თავს მშვიდობის გარანტად მიიჩნევს, მაგრამ პირადი მტრობის გამო მშვიდობას საფრთხეს უქმნიან. მაგალითად, უკრაინის ომი რუსეთისა და ამერიკის ომია, რაც ტრამპმაც აღიარა, ზოგადად კი, ყველა ცხელი წერტილი პირდაპირ თუ ირიბად რუსეთ-ამერიკის ომია. ამ ორი ზემძლავრი სახელმწიფოს პოლიტიკურმა დაპირისპირებამ უკვე გამოიღო ერთი ნაყოფი, რაც გამოიხატება მშვიდობის ხარისხის გაუარესებაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მაგრამ თეორიულადაც და პრაქტიკულადაც, კიდევ ორი ნაყოფის გამოღებაც შეუძლია, კერძოდ:

1. რუსეთ-ამერიკის ბირთვული დაპირისპირება, რომელიც გადარჩენილ ადამიანებს ქვის ხანაში დააბრუნებს;
2. ადრე თუ გვიან მოსკოვისა და ვაშინგტონის პოლიტიკური დაპირისპირება დასრულდება. ასეთ შემთხვევაში, ამერიკა და რუსეთი რეალურად შეძლებენ მშვიდობის გარანტის მისიის შესრულებას მთელ მსოფლიოში. სამწუხაროდ, იგივე მსოფლიოში სანთლით მოსაძებნია ისეთი სახელმწიფო, რომ ამერიკა-რუსეთის პოლიტიკური დაპირისპირების, ანუ მტრობის დასრულება სურდეს. მაგალითად, ევროპის ქვეყნების უმრავლესობას ეს არ უნდა, საქართველოსთვის კი მომგებიანია.

ამიტომ, მოსკოვის და ვაშინგტონის პოლიტიკური დაპირისპირების დასრულების პროცესი საქართველოდან უნდა დაიწყოს და დაიწყება კიდეც, თუ საქართველოს გამთლიანების საკითხზე თბილისთან, სოხუმთან და ცხინვალთან ერთად, მოსკოვიც და ვაშინგტონიც იმუშავებენ.

ახლა დაუკვირდით ტრამპის პოლიტიკას მშვიდობის საკითხებთან დაკავშირებით. მან თქვა, „მე დავასრულებ უკრაინის ომსო“; „რუსეთი ბაიდენმა აიძულა, შეჭრილიყო უკრაინაში, მე რომ ვყოფილიყავი პრეზიდენტი, ეს არ მოხდებოდაო“; „უკრაინის ომი ამერიკისა და რუსეთის ომია და გავდივარ ამ უაზრო ომიდანო“. შეიძლება ყოველივე ზუსტად ამ სიტყვებით არ უთქვამს ტრამპს, მაგრამ ასე იგულისხმება და მთავარი ის არის, რომ არ არის წინააღმდეგი, დასრულდეს რუსეთ-ამერიკის მტრობა. არ ვიცი, რა ნაბიჯებს გადადგამს ტრამპი უახლოეს მომავალში, მაგრამ უკვე გადადგმული ნაბიჯებით ისეთი პოლიტიკური ამინდი შეუქმნა უცხო ქვეყნების გავლენის ქვეშ მყოფ პატარა სახელმწიფოებს, რომ ამ ამინდის არგამოყენება საქართველოს პოლიტიკური გაძლიერებისთვის დანაშაული იქნება. საქართველოს პოლიტიკურად გააძლიერებს გამთლიანება და ცენტრის მიზანია, ამ საკითხზე ერთად იმუშაონ თბილისმა, სოხუმმა, ცხინვალმა, ვაშინგტონმა და მოსკოვმა. გამთლიანების შემდეგ საქართველო პოლიტიკურად გაძლიერდება და შესაძლებლობა მიეცემა გააათმაგოს თავისივე პოლიტიკური სიძლიერე მოსაზღვრე მეზობლებთან ერთად კონკრეტული ნაბიჯების გადადგმის გზით. ამ კონკრეტულ ნაბიჯებს მეზობლებთან დამოყვრება დავარქვი. მეზობლებთან დამოყვრების არსის გასაჯაროებამდე მინდოდა ვინმე კომპეტენტურ პირთან, კერძოდ, ბატონ ზურაბ აბაშიძესთან მესაუბრა, მაგრამ მივხვდი, რომ ამ საკითხზე მხოლოდ ქართული მხარის წარმომადგენელთან საუბრით უპატივცემულობას გამოვხატავდი აფხაზური და ოსური მხარეების მიმართ. ამიტომ, როდესაც თბილისი, სოხუმი, ცხინვალი, ვაშინგტონი და მოსკოვი დაიწყებენ ერთად მუშაობას საქართველოს გამთლიანების საკითხზე, სწორედ მაშინ გავაცნობ მხარეებს მეზობლებთან დამოყვრების პირად ხედვას. სხვა რის თქმაც შემიძლია ცენტრის

შესახებ, არის ის, რომ ცენტრი აუცილებლად ჩაერთვება მხარეების ერთად მუშაობის პროცესში და რომ საქართველოს გამთლიანებისთვის მაქსიმუმ 24 რაუნდის ჩატარება გახდება საჭირო.

ახლა დროა, განვიხილოთ მოწოდებული ინფორმაციის სათაური: „მშვიდობის საფუძვლების ანალიტიკური კვლევების ცენტრის“ მძიმე ტვირთი. რაში მდგომარეობს ტვირთის სიმძიმე, ან რა ტვირთზეა საუბარი? ცენტრისთვის ზემოთთქმულის რეალიზება ტვირთი არ არის, მას მძიმე ტვირთად აწევს თავად ის ფაქტი, რომ მუშაობის შესაძლებლობა არა აქვს. მიაქციეთ ყურადღება, რით არის დაკავებული 2015 წელს დარეგისტრირებული ცენტრი? ის წერს ამ გზავნილის მსგავს წერილებს და ცენტრის სახელით უგზავნის ხელისუფლებას, ზოგჯერ გაზეთშიც იბეჭდება. 2015 წლამდე იმავეს ვაკეთებდი ფიზიკური პირის სტატუსით და ვაკეთებდი ამას აფხაზეთის ომის დასრულებიდან მოყოლებული. რატომ ვიფარგლებოდი მხოლოდ წერით? იმიტომ, რომ რეალური საქმის კეთების შესაძლებლობა არ მქონდა და ვშიშობ, არც არასოდეს მექნება. ამიტომ, ვთხოვ ხელისუფლებას, იფიქროს სხვა არასამთავრობო სტრუქტურის შექმნაზე, იმავე საკითხზე მუშაობისთვის, ოღონდ, ახალი სტრუქტურა უნდა დააფუძნონ საქართველოს გამთლიანებით დაინტერესებულმა წარმატებულმა ბიზნესმენებმა. დამფუძნებელთა რიგებში აუცილებლად უნდა იყვნენ წარმატებული ბიზნესმენები აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან, ანუ აფხაზი და ოსი ეროვნების ბიზნესმენები. ეს ჩემი პირველი თხოვნაა, მაქვს მეორე თხოვნაც, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით არ ეხება საქართველოს გამთლიანების პროცესს, მაგრამ ამ პროცესში სერიოზული პოზიტივის შეტანა შეუძლია. კერძოდ: ვთხოვ ხელისუფლებას, აღადგინოს 2008 წელს შეწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობები ისტორიულ მეზობელთან, რუსეთთან. ვიცი, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმის მცდელობას სერიოზული წინააღმდეგობები შეექმნება შიგნიდანაც და ევროპის ქვეყნების უმრავლესობის მხრიდანაც, მაგრამ არ შეექმნება ტრამპისგან. კონკრეტულად კი ხელისუფლებას წინააღმდეგობა შეექმნება ევროპის იმ სახელმწიფოების მხრიდან, ვინც განაგრძობს მუშაობას რუსეთის დასუსტებისა და დაშლის უტოპიური იდეის რეალიზაციაზე.

ახლა დაუკვირდით, რუსეთთან ომში მყოფ ევროპის ქვეყნებს არ შეუწყვეტიათ დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთთან, ვინაიდან ამით თავს იზღვევენ. ჩვენ პატარა სახელმწიფო ვართ და, მით უმეტეს, უნდა ვფიქრობდეთ თავის დაზღვევაზე. გარდა ამისა, რუსეთი მეზობელია და მის ტერიტორიაზე მილიონი ქართველი ცხოვრობს. რატომ არ უნდა გვქონდეს მასთან დიპლომატიური ურთიერთობები? მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ევროპის ავადმყოფურ ინტერესებს დააზიანებს? ხელისუფლებას ისედაც სჯიან საქართველოს ინტერესებზე ზრუნვისთვის და უფრო მეტად დასჯიან რუსეთთან დიპლომატიური კავშირების აღდგენის შემთხვევაში.

მიუხედავად ამისა, იმედს ვიტოვებ, რომ ჩემს ორივე თხოვნასთან დაკავშირებით, ხელისუფლება გაითვალისწინებს მხოლოდ საქართველოს ინტერესებს, ანუ მოიქცევა ისე, როგორც 2012 წლიდან იქცევა.

როლანდ ნიკოლაიშვილი

საქართველო, დაბოვე ჯანმო!!!

6 მარტს პარლამენტში შევიდა პეტიცია მოთხოვნით, რომ საქართველო ჯანმოდან გამოვიდეს. საქართველოს მოქალაქეები ერთმანეთის გვერდზე დგომისთვის ერთმანეთს ვუხდით მადლობას, ხოლო ხელმოწერების შეგროვებისთვის განსაკუთრებული მადლობა: თინა თოფურიას, თინა გოცაძეს, ნინო რევაზიშვილს, თემო ბოკელავაძეს, მანანა გლუნჩაძეს, ლერი ჯალაბაძეს, ნინო აქიმიშვილს, არჩილ იანვარაშვილს. როდესაც პეტიციის განხილვა ჩაინიშნება, გაცნობებთ.

(გაგრძელება. დასაწყისი „სგ“ 8)

საინტერესოა, სად „იყვნენ“ ეს უცნაური გრიპები აქამდე, იდეაში თუ გასაიდუმლოებულ ლაბორატორიებში გამოჰყავდათ და გამოჰყავთ ახალ-ახალი შტამები?

რატომაც არა, თუ გავითვალისწინებთ მასონურ გეგმას, რომ მსოფლიოსთვის 5 მლრდ ადამიანი საკმაოდ ბევრია, 1 მილიარდი მოსახლეც საკმარისია, სწორედაც რომ საჭიროა მსოფლიო დასნებოვანება, რომელსაც თან დაერთვება ორივე სქესის უშვილობა. ამავე მიზნით, არატრადიციული სექსუალური კავშირების ფართო პროპაგანდა და ხელშეწყობა და მსგავსი, ერთი შეხედვით პატარ-პატარა რგოლებია, რომელიც დროთა განმავლობაში და მთლიანობაში სასურველ შედეგს მოიტანს პროვოცირებულ ომებთან ერთად. მე არ ვიცი, რა სახის ჩარევები ხდება ამ შემთხვევაში, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ არსებობს აშშ-ის მრავალმილიონიანი პროგრამა, რომლის მიხედვითაც კონტროლდება შობადობა ცალკეულ ქვეყნებში...

ყველას საკუთარი თვალით აქვს წაკითხული რომელიმე წამლის უკუჩვენებაზე კონკრეტული დაავადებების შემთხვევაში, ან როგორც გვერდით მოვლენაზე, დაწყებული იმით, რომ პრეპარატის მიღების შემთხვევაში საჭესთან არ უნდა დავჯდეთ, დამთავრებული იმით, რომ შეიძლება გამოიწვიოს პირღებინება, კრუნჩხვა და ასე შემდეგ. ვითომ ცალკეული შემთხვევებია, ვიღაცის ორგანიზმი არ იღებს წამლის შემადგენელ რომელიღაც კომპონენტს, მაგრამ რამდენია მთლიანობაში „ვიღაცა“, ვინ მოგვცემს ამის სტატისტიკას?

ახლახან ე. წ „ღორის გრიპთან“ დაკავშირებით ატეხილი განგაშის გამო, აფთიაქებიდან დაიტაცეს პანაცეად გამოცხადებული ძვირადღირებული პრეპარატი „ტამიფლუ“ (რომელსაც საკმაოდ მძიმე გვერდითი და თანმდევი მოვლენები აქვს), რომელსაც ლამის დითირამბები უმღერეს, ცალკეულმა ჰომეოპათებმა კი პაწაწუნა ფლაკონებით საკმაოდ დაბალ ფასში (5 ლარი) გადაალახვინეს „რეკლამირებული“ შიში ხელმოკლე ადამიანებს, მაგრამ საფრთხეს სახე უცვლია, ახალი პრეპარატია „გამოსაგონებელი...“

ცნობილია, რომ ვირუსი „სივი-40“ იწვევს იმუნური სისტემის მკვეთრად დაქვეითებას, ანუ თუ მაინცდამაინც შიდს-ი (შეძენილი იმუნოდეფიციტური სინდრომი) არ შეგეყარა, შეიძლება „უწყინარმა“ სურდომ გაგაცხებინოს სული, ამიტომ, დამფრთხალი ადამიანი ყველაფერზე თანახმაა, ოღონდ კარსმომდგარ სიკვდილს შეძლებისდაგვარად გაექცეს კლანჭებიდან.

„წინდახედულები“, როგორც წესი, ყველანაირ ვაქცინაციას წინასწარვე იტარებენ, თავს იზღვევენ და, ამ შემთხვევაშიც „სივი-40“-ის წინააღმდეგ ბრძოლის თუ თავდაცვის პიონერებად გამოვიდნენ. შედეგად, ყველას, ვინც მისი ვაქცინაცია ჩაიტარა, დროთა განმავლობაში სხვადასხვა სახის სიმსივნე ჩამოუყალიბდა, მათ შორის, ვერც სისხლის გათეთრებას აცდნენ...

ყველა მშობელს, რადგან თვით ჰყავს გაკავებული საკუთარი ბავშვი, ისიც აქვს ნანახი, როგორ ასხამენ მის პატარას პირის ღრუში ორიოდე წვეთ სითხეს, რომელსაც პოლიომიელტის საწინააღმდეგო ვაქცინა ჰქვია და, როგორც სხვა აცრებს, ამასაც, საკუთარი შვილის ჯანმრთელობის ერთ-ერთ გარანტად თვლის, გაძალიანების შემთხვევაში კი, სულაც ძალით უღებენ პირს.

პოლიომიელეტი მწვავე ვირუსული დაავადებაა, რომლის დროსაც ზიანდება ზურგის ტვინის რუხი ნივთიერება. პოლიომიელიტი შეიძლება ზრდასრულ ადამიანსაც შეეყაროს, მაგრამ უმეტესად, 6 თვიდან 5 წლამდე ბავშვები ავადდებიან, ანუ საფრთხის ასაცილებლად მანამდე უნდა მიმართო შესაბამის ზომებს.

სწორედაც რომ!

ადამიანის ტვინის ფუნქციები 4-იდან 10 თვემდე პერიოდში ყალიბდება და პოლიომიელიტზე აცრაც ამ დროს ემთხვევა, მაგრამ მედიკოსებიც ახლა ვიგებთ, რომ თურმე ზემოთხსენებული „სივი-40“ პოლიომილეტის ვაქცინის დამზადების დროსაც გამოიყენება.

გესმით?

გარდა ამისა, პოლიომიელიტის ვაქცინა თურმე შეიცავს მაიმუნის ფილტვის უჯრედსა და არაერთ პროტეინს, მარტივ ცილას (პროტეინები, თავის მხრივ, 7 ჯგუფადაა დაყოფილი), რაც თურმე ცვლის სისხლისა და გენების შემადგენლობას, ეს კი აუცილებლად აისახება ფსიქიკაზე.

ყველა ის ინფორმაცია, რაც ასე თუ ისე ხელმისაწვდომი ხდება მედიცინის მუშაკებისთვის, იმდენად შოკისმომგვრელია, ზოგჯერ დაჯერებაც გიჭირს ადამიანს. ამდენად, გამეორება და ისედაც გულშემოყრილი და უსასოოდ დარჩენილი საზოგადოების ზედმეტად დაზაფვრა აღარ გინდა...

გარდა ამისა, რაგინდ ჰიპოკრატეს ფიცი დადოს ადამიანმა, როცა მათხოვრულ ხელფასს ხარ მიჩერებული თვიდან თვემდე, როცა ზურგსუკან ოჯახის წევრები გყავს და მათი უსაფრთხოება გაფიქრებს, ხმას ვერ ამოიღებ, ინფექციების მართვას და კოვიდ 19-ის ვაქცინის გაკეთების შემდეგ განვითარებული გულ-სისხლძარღვთა დაზიანების მკურნალობას. ის მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ექსპერტად მიიჩნევა კოვიდ 19-ის ვაქცინაციის შედეგების ექსპერტიზაში. რა თქმა უნდა, კოვიდ-პანდემიის დროს და შემდეგაც, ისიც ფაქტ-ჩეკის შეტევის ობიექტი გახდა. ამდენად, მისი დასკვნები დაავადებულ ადამიანებამდე ვერ აღწევდა...

პაპილომა ვირუსი

რობერტ კენედი უმცროსმა გააუქმა სეზონური გრიპის ვაქცინაციის კამპანია და მთავარი კონფერენცია ვირუსის ექსპერტებთან. ამის შესახებ 20 თებერვალს გამოცემული დირექტივიდან გახდა ცნობილი. მან ასევე, გააუქმა გლობალური ვირუსის სიმპოზიუმის კონფერენცია, რომელიც დაგეგმილი იყო 2025 წლის 15-17 მარტს ატლანტაში, სადაც სიტყვით უნდა გამოსულიყვნენ წამყვანი ვირუსოლოგები, მათ შორის, ბაიდენის მიერ წინსწრებით შეწყალებული ფაუჩი. ორგანიზატორებისადმი მიწერილ წერილში რობერტ კენედი უმცროსმა დაწერა: „ჩვენ არ დავხარჯავთ რესურსებს იმ მოვლენებზე, რომლებიც უგულებელჰყოფენ ვაქცინის უსაფრთხოების რეალურ საკითხებს.“

კენედიმ ჩაშალა გრიპის ვაქცინაცია! კენედიმ გამოსცა რეზოლუცია პაპილომა ვირუსის ვაქცინაციის შეჩერების შესახებ! კენედიმ ჩაშალა ყველა დაგეგმილი კონფერეცია ვაქცინაციის თემაზე!

კოვიდპანდემის დროს, როდესაც თითქოს ნებაყოფლობითი იყო კოვიდზე აცრა, მაგრამ რეალურად ადამიანს ისეთ მდგომარეობაში აყენებდნენ, რომ იძულებულს ხდიდნენ აცრილიყო, კარგად გამოჩნდა ადამიანთა ის რაოდენობა, რომელთა გაბრიყვებაც, მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო განათლება არ აქვთ, შეუძლებელია.

ახლა, როდესაც ცრუ პანდემიამ გადაირა, არის ადამიანთა კატეგორია, რომლებსაც კვლავ სჯერათ ცრუ-ვაქცინების და შესაბამისად, სეზონური გრიპების წინააღმდეგაც იცრებიან და პაპილომა ვირუსზეც აცრილები არიან ოჯახის წევრების ჩათვლით.

ისევე, როგორც პანდემიის დროს ეწეოდნენ კოვიდის ე.წ. ვაქცინების რეკლამირებას, ისე ეწევიან ახლა სეზონური გრიპებისა და პაპილომა ვირუსის ვაქცინების რეკლამირებას. ამდენად, აბსოლუტურად მიუღებელი და წარმოუდგენელი სიცრუე იქნება მათთვის საპირისპირო აზრის მტკიცება, რადგან თვლიან, რომ პრობლემა მხოლოდ იმ გონიერ ადამიანშია, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებს საეჭვო ვაქცინას, რადგან ანტივაქსერია და მხოლოდ ამის გამო უარჰყოფს აღნიშნულ პროფილაქტიკურ ვაქცინაციას.

აქედან გამომდინარე, მხოლოდ „ანტივაქსერებს“ წარმოგვიდგენია, როგორ გააფთრებულ წინააღმდეგობას აწყდება აშშ-ის ახალი ადმინისტრაცია, განსაკუთრებით პაპილომა ვირუსთან დაკავშირებით, რადგან ეს არის ფინანსურად ყველაზე მომგებიანი ვაქცინა, რომელსაც ფირმა „მერკ“-ის „ოქროს გრაალს“ უწოდებენ. ბილ გეითსის დაკვეთითა და დაფინანსებით შექმნილი ე. წ. ვაქცინა, სინამდვილეში, უშვილობისთვის არის გამიზნული და დეპოპულაციის ყველაზე ეფექტური და შენიღბული საშუალება, რომლითაც მოზარდის ჰორმონალური დაზიანება ხდება. ასე იმეტებენ მომავალ თაობას „უსქესობისთვის“, შემდგომში იმას რომ ვერ არკვევენ, რომელ სქესს მიეკუთვნებიან. ტრამპმა პირველივე დღეს მოაწერა ხელი სქესის შეცვლის ოპერაციების აკრძალვას, მაგრამ ეს არაფერს ცვლის ამ მხრივ ჯანმრთელობადაზიანებული ახალგაზრდისთვის...

მაია ჭელიძე

(გაგრძელება იქნება)

საშინელება ხდება სირიაში... იქნებ, არც გამემახვილებინა ყურადღება, რომ არა სოციქსელში ვინმე მაიკო-ის გაკაპასება: „იცით რას გეტყვით? ქვეყანამ მაგ ხალხის გამო ასიათასობით მსხვერპლი ნახა, დაანგრიეს და დააქციეს ასადის ხალხმა სირია, რაც მიიღეს კანონზომიერია.

მოღალატეებისთვის სხვა განაჩენი არც უნდა არსებობდეს. რას უჭერთ მხარს ასადისტებს ვერ ვხვდები მათ ეზრუნათ შვილებზე მათი ნათელი მომავლისთვის, მსოფლიომ რატომ უნდა იზრუნოს დიქტატორისთვის ვერ ვიგებ.

თავი შეიკავა მათი „გაკიცხვისგან“, მათ შორის: გერმანიამ, საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, ჰოლანდიამ, პოლონეთმა, იტალიამ, ბალტიის კვაზი-წარმონაქმნებმა და სკანდინავიის ქვეყნებმა.

გგონიათ, გამიკვირდა? არა, უბრალოდ, ფაქტის კონსტატაციაა, თორემ, რა უნდა გამიკვირდეს, ესენი ხომ იგივენი არიან, მიხეილ სააკაშვილი „დემოკრატიის შუქურად“ რომ გამოაცხადეს და უკან ვერ მოაბრუნეს, თორემ, საქართველოში მეორე აბუ მუჰამედ ალ-ჯულანი გვეყოლებოდა — რა, სირიელ ტერორისტებზე ნაკლებად ამერიკელების, ებრაელების, მასონების, ან სულაც, „დიფ-სტეიტის“ მონები სჩადიან...

დუმილია.

ამ დროისთვის ირანია ერთადერთი ისლამური ქვეყანა, რომელმაც ქრისტიან სირიელებზე ტერორისტების თავდასხმა დაგმო...

სირიელი ჯიჰადისტების გაბურძგნულმა ლიდერმა, ალ-ჯულანმა წვერი გაიკოხტავა და ევროპული „კოსტუმი“ ჩაიცვა!

არ მახსოვს ამ სიტყვების ავტორი: „რა არის საჭირო ევროკავშირში გასაწევრიანებლად?

სირიის ტრაგედია და მაყურებლის როლში მყოფი ევროპა

ამიხსენით?“ (უცვლელად)

საკადრისი პასუხი გასცეს, მაგრამ მე ჩემსას ვიტყვი: ეს გოგო იმ კატეგორიას ეკუთვნის, „შიგ ევროპულად“ რომ ნათელშია და დიდი სიხარულით ინატრებდა იგივეს საქართველოში, რაც სირიაში ხდება, ოღონდ, „დიქტატორი ოლიგარქი“ და „პუტინის ბნელი მთავრობა“ აღარ იყოს.

„შიგ ევროპა“ რომ ნაძირალების ბუდე ყოფილა, კიდევ ერთხელ გამოჩნდა — მე უპირველესად, საქართველოზე ვნაღვლობ, დღე რომ არ გავა ისე, რამე არ გვიმტრონ, მაგრამ სირიამ რა დაუშავათ ასეთი, მხოლოდ ის, რომ ასადს ზურგს რუსეთი უმაგრებდა? ამის გამო ხუჭავენ თვალებს უპრეცედენტო მასშტაბის გენოციდზე, როცა ბარბაროსულად მოკლულთა რიცხვმა ათასებს გადააჭარბა? ქალებმა და ბავშვებმა რა დაუშავეს, ეს რა სახის ველური სიძულვილია მაყურებლის როლში მყოფი ევროპის მხრიდან? თუმცა, ევროპაში რაც ადამიანის ხორცი აქვთ ნაჭამი და ადამიანების სისხლი დალეული, რა უნდა მიკვირდეს მათი შთამომავლებისგან...

დასრულდა გაერო-ს უშიშროების სხდომა სირიასთან დაკავშირებით, რომელიც აშშ-ისა და რუსეთის მოთხოვნით იყო ინიცირებული. სახელმწიფოების უმეტესობამ სასტიკად დაგმო ყოფილი ტერორისტების, აწ უკვე „პროგრესული ადამიანების“ არაადამიანური მოქმედებები. აღმოჩნდა, რომ მათ მიერ ჩადენილ სისასტიკეს 125 ქვეყანა გმობს, მაგრამ 25-მა „ზეპროგრესულმა“ ქვეყანამ

„დემოკრატიულად“ მოიქცეოდნენ? „შიგ ევროპელებს“ ხომ მათგან განსხვავებულად მოაზროვნე ქართველი ქრისტიანები ალ-ჯულანისტებზე მეტად სძულთ.

ის, რა საშინელებაც ახლა სირიაში ხდება, ევროპოლიტიკოსების მიერ დემოკრატიად შერაცხული ტერორისტული რეჟიმის ბრალია? რა თქმა უნდა, არა!

ზოგი რამის გამოცხობა შესაძლებელია არა ვისიმე სადმე ყოფნით, არამედ მოვლენების არარსებობით!

მაგალითად, 1942 წელს მომავალმა აკადემიკოსმა გეორგი ფლეროვმა სტალინს მისწერა, ამერიკული სამეცნიერო ჟურნალებიდან გაქრა სტატიები ატომური ფიზიკის შესახებ და, შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ შეერთებულმა შტატებმა დიდ პროგრესს მიაღწია ატომურ პროექტებშიო...

დღეს სირიაში ქალებს, ბავშვებს და მოხუცებს ქუჩებში ხოცავენ მხოლოდ იმიტომ, რომ ალავიტები ან ქრისტიანები არიან. კაცებს აიძულებენ, ოთხზე იარონ, ძაღლივით იყეფონ და შემდეგ კლავენ. კლავენ ყველას, ვინც რამენაირად თვალში არ მოსდით. ტარტუსსა და ლატაკიაში მოკლულთა ცხედრებით არის ქუჩები სავსე, მაგრამ ამ საშინელებაზე არ საუბრობენ. ვერ ვხედავ ვერც აღშფოთებულ არაბთა დემონსტრაციებს და მუსლიმანი სტუდენტების საპროტესტო აქციებს, არც დროშებს წვავენ, არც არავინ არის შეშფოთებული. ის მაინც თქვან, რომ ისლამი მშვიდობის რელიგიაა, ამას

ხელისუფლებაში უნდა იყოს ძალა, რომელსაც ხალხი კი არ აირჩევს, არამედ ის, „ცივილიზებული ევროპის“ ლიდერები ვისაც დაუჭერენ მხარს.

ხელისუფლება უნდა დევნიდეს ოპოზიციას, უკეთესია, თუ დახოცავს მათ.

მედია ხელისუფლების კონტროლქვეშ უნდა იყოს.

საარჩევნო კომისიას აკომპლექტებენ ბრიუსელიდან. თუ არჩევნები საერთოდ არ ჩატარდება, უკეთესია, საარჩევნო კომისიაც აღარ იქნება საჭირო და თანხა დაეზოგებათ ევროპელ ბიუროკრატებს.

მოსამართლეებს ნიშნავენ ბრიუსელიდან. თუ სასამართლო საერთოდ არ იქნება, ეგ კიდევ უკეთესი, იქნებ, რომელიმე მოსამართლე არაევროპულად მოაზროვნე აღმოჩნდეს.

უნდა ტარდებოდეს ლგბტ პრაიდი. ამ შემთხვევაში უკრაინა სირიას უსწრებს — კიევისა და ხარკოვის მეტროში ორჯერ ჩატარდა პრაიდი. მიწის ზემოთ ეშინიათ, რუსებმა რომ არ დაბომბონ.

სირიას აქვს შანსი, რომ გადაასწროს უკრაინას, ძველი ანტიოქიის კულტურულ ძეგლებთან მოაწყობენ გრანდიოზულ ლგბტ მარშს, მას წინ წაუძღვება ალ-ჯულანი, ერდოღანი, ევროპელი ლიდერები, ამერიკიდან ვილსონი, რიში და შაჰინი, კანადიდან ტრუდო, უკრაინის დელეგაცია, თავისთავად.

ისე, ევროპას ბიზანტიის ბედი ელოდება. ბიზანტია მუსლიმანებმა და რუსებმა გაინაწილეს. ახლაც ასე იქნება.“

თამარ სიჭინავა: „წლებია, შე-



ხდება და რომ ეს ყველაფერი სისულელეა. მე კი მგონია, რომ პირიქით, აწყობთ კიდევაც ალავიტებისა და ქრისტიანების გენოციდი...“

ნამდვილად არ ვიცი, ეს მართლაც ასეა თუ არა, მაგრამ ვისგანაც ინფორმაცია მივიღე, ტყუილის თქმას რა რჯიდა: „ლონდონის მერი მუსლიმანია; მუსლიმანები არიან: ბირმინგემის, ლიდსის, ბლექბერნის, შეფილდის, ოქსფორდის, ლუტონის, ოლდჰემის და როჩდეილის მერები.

ამ ყველაფერს 66-მილიონიან ინგლისში 4-მა მილიონმა მუსლიმანმა მიაღწია: დღეს ინგლისში 3000-ზე მეტი მეჩეთია; მოქმედებს შარიათის 130-ზე მეტი სასამართლო; მოქმედებს შარიათის 50-ზე მეტი საბჭო; მუსლიმანი ქალების 78% არ მუშაობს, იღებს სახელმწიფო დახმარებას და უფასო საცხოვრებელს; მუსლიმანი კაცების 63% არ მუშაობს, იღებს სახელმწიფო დახმარებას და უფასო საცხოვრებელს; სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი 6-8-ბავშვიანი მუსლიმანი ოჯახები იღებენ უფასო საცხოვრებელს. ახლა დიდი ბრიტანეთის ყველა სკოლას მოეთხოვება ისლამის გაკვეთილების სწავლება. ვინმემ მართლა მისცა ხმა ამას?“

ეს თუ სიმართლეა, ბრიტანელები სად არიან, ვერ ვიგებ, მაგრამ სირიაში რაც ხდება მუსლიმანებთან დაკავშირებით, იმას ნიშნავს, რომ მავანთა გეგმაში იდეალურად ჯდება ტერორიზმი. ეს არის მართული და „დაჩმორებული“ ევროპა, ოდესღაც სასურველი, ახლა კი ბოროტების სავანედ გადაქცეული.

როგორც გავიგე, სირიის ახალი ხელისუფლებისა და **Ayat Tahrir al-Sham**-ის ლიდერი, აბუ მუჰამედ ალ-ჯულანი ბრიუსელში „დონორთა კონფერენციაზეც“ მიიწვიეს. რა სამარცხვინოები გახდნენ, პირდაპირ თავს ლაფი დაისხეს...

რა თქმა უნდა, ქართველი უსამშობლოები იმთავითვე სიხარულით შეხვდნენ ტერორისტული ორგანიზაციის გამარჯვებას, ნიკა გვარამიამ სადიდებელი სიტყვაც აღავლინა და მას მხარი ნაც-შპანამაც აუბა, — ევროდებილებმა ტერორისტების გამარჯვება ხომ დასავლეთის მხრიდან რუსეთის სტრატეგიულ მარცხად აღიქვეს.

სირიაში ალ-ჯულანის პირდაპირი ბრძანებით ქრისტიანებისა და ალავიტების დახოცვა დემოკრატიის გამარჯვება და რუსეთისთვის ზიანის მიყენება ვისაც ჰგონია, ისეთივე ტვინვიწრო მანიაკი მკვლელია, როგორიც ალ-ჯულანი და მისი ტერორისტული ორგანიზაციის წევრები, თუმცა, ეს უკვე ვიცით, გავლილი გვაქვს ცხრა წლის განმავლობაში.

წესით, მცირე ხანში სირია ევროკავშირშიც უნდა შეიყვანონ, რადგან ჯიჰადისტებს არც „ლეგიტიმაციაში“„ და არც დემოკრატიაში“ ხარვეზები არ აქვთ!

ამ დროისთვის, როდესაც ამ წერილს ვწერ, სირიის ქურთისტანის ფორმირებებს მთელ ჩრდილოეთ სირიაში მასირებული იერიში მიაქვთ ტერორისტულ ძალებზე — ქრისტიანების დაცვა ქურთმა მუსლიმანებმა აიღეს საკუთარ თავზე. ბრძოლებს ისეთი პირი უჩანს, რომ მათი ინტენსივობა გაგრძელდება...

ისეთი ვითარება იქმნება, რომ არ არის გამორიცხული, ბრძოლებში ერაყული „პეშმერგაც“ ჩაერთოს, თუმცა, ეს აშშ-ზეა დამოკიდებული, რადგან ქურთების უკან ამერიკელები დგანან.

ასევე, შესაძლოა, ვითარება გამწვავდეს თურქეთის ქურთისტანშიც — ეს ხომ მათი დაუსრულებელი „გამწვავებაა“.

ერთადერთი, რუსეთი რჩება უფუნქციოდ და მაყურებლის როლში შეფარებულ ბაშარ ასადთან ერთად, მაგრამ მისას რას გაიგებ, ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, ასადის შემთხვევაში რაც მოხდა, — არმია მხარს არ გიჭერს და ციდან მარტო მე რა გიშველოო...

ზურა ოშხერელი

საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციები

ვის აქვს უფლება, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით ან წარდგინებით შეუძლია მიმართოს: პრეზიდენტმა, მთავრობამ, პარლამენტმა, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთმა მეხუთედმა, სასამართლომ, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, გენერალურმა პროკურორმა, ეროვნული ბანკის საბჭომ, გენერალურმა აუდიტორმა, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითმა ან აღმასრულებელმა ორგანომ, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითმა ორგანომ, სახალხო დამცველმა, ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა.

რა ტიპის დავებს განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლო

პასუხის სრულყოფილად გასაცემად უმჯობესია, სრულად გავეცნოთ საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტს. საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის არსებით ელემენტს წარმოადგენს ნორმატიული აქტების (კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების) კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხის განხილვა და გადაწყვეტა. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლო:

ა) ფიზიკური პირის, იურიდიული პირის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობას კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით;

ბ) საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან მთავრობის სარჩელის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხზე;

გ) საერთო სასამართლოს წარდგინების საფუძველზე იხილავს იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს, რომელიც კონკრეტული საქმის განხილვისას უნდა გამოიყენოს საერთო სასამართლომ და რომელიც მისი საფუძვლიანი ვარაუდით შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას;

დ) საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის, მთავრობის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, გენერალური პროკურორის, ეროვნული ბანკის საბჭოს, გენერალური აუდიტორის, სახალხო დამცველის ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ან აღმასრულებელი ორგანოს სარჩელის საფუძველზე იხილავს დავას შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილების შესახებ;

ე) საქართველოს პრეზიდენტის ან მთავრობის სარჩელის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის სარჩელის ან წარდგინების საფუძველზე იხილავს საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხს;

ვ) საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან მთავრობის სარჩელის საფუძველზე იხილავს პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობისა და ამ პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს;

ზ) პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან შესაბამისი პირის სარჩელის საფუძველზე იხილავს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის საკითხს;

თ) საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე იხილავს რეფერენდუმის ან არჩევნების მომწესრიგებელი ნორმისა და ამ ნორმის საფუძველზე ჩასატარებელი ან ჩატარებული რეფერენდუმის ან არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას;

ი) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობას კონსტიტუციის მეცხრე თავთან მიმართებით.

როგორ უნდა მივმართოთ და აქვს თუ არა ფიზიკურ პირს ამის უფლება

კონსტიტუციური სარჩელი შედგენილი უნდა იყოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი სასარჩელო სააპლიკაციო ფორმის მიხედვით. კონსტიტუციური სარჩელი ხელმოწერილი უნდა იყოს მოსარჩელის (მოსარჩელეთა) მიერ.

საქართველოს მოქალაქეები, სხვა ფიზიკური და იურიდიული პირები უფლებამოსილნი არიან, მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს, თუ მათ მიაჩნიათ, რომ კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი არღვევს ან შესაძლებელია, უშუალოდ დაარღვიოს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი.

საჭიროა თუ არა სახელმწიფო ბაჟის გადახდა

კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების რეგისტრაციის მომენტიდან. განსაკუთრებულ შემთხვევაში, სარჩელის განხილვის ვადას არაუმეტეს 2 თვით აგრძელებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისთვის ვადა კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდა აუცილებელია. ფიზიკური პირის მიერ შეტანილ კონსტიტუციურ სარჩელზე 10 ლარი.

ლევან ჭიღლაძე

„კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“

არ არსებობს ქვეყანაზე იმაზე მეტი სიმდიდრე, ვიდრე მოყვასის სიყვარულია. სიყვარული კი თავად უკვდავებაა, რამეთუ თვით ღმერთია სიყვარული. ჩვენ, ქართველები, მსოფლიოში გამორჩეული გენეტიკური კოდის მატარებელი ერი ვართ, მით უფრო, თუკი საუბარია წუთისოფლიდან წასულ ჩვენთვის ძვირფას ადამიანებზე, რომელთაც თავიანთი ცხოვრებითა და მოღვაწეობით ღრმა კვალი დატოვეს ჩვენს გულებში.

სწორედ ასეთი ადამიანი გახლდათ ნოდარ რაფავა, საქართველოზე და ქართველებზე უზომოდ შეყვარებული, რაინდული გარეგნობის და ბუნების, მამაცი კოლხი, მთელს რეგიონში ცნობილი თავისი კაცობით, ოჯახიშვილობითა და სტუმართმოყვარეობით.

ღირსეული კაცი დააკლდა მთელ საქართველოს და განსაკუთრებით მის მშობლიურ კუთხეს, სამეგრელოს. გამოვთქვამთ ღრმა მწუხარებას და ვუსამძიმრებთ ოჯახს და მეგობრებს.

ანდრონიკაშვილების ოჯახი

იურიდიული რჩევები

თქვენს შეკითხვებს პასუხობს საერთო სპეციალიზაციის ადვოკატი ლევან ჭიღლაძე

●

- ვინ ჩაითვლება მიწის ნაკვეთის მართლზომიერ მფლობელად და რა დოკუმენტაცია ადასტურებს მართლზომიერი მფლობელობის ფაქტს?

- მიწის ნაკვეთის მართლზომიერ მფლობელად ითვლება ფიზიკური პირი, რომელსაც მესაკუთრედ რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება მიწის მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე წარმოეშვა და რომელიც რეგისტრაციის მოთხოვნის დროისათვის ფაქტობრივად ფლობს ნივთს. მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტებია:

2004 წლის 4 ოქტომბრამდე უძრავი ნივთის მფლობელად (მოსარგებლედ) ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში აღრიცხვის დამადასტურებელი ცნობა-დახასიათება; საკომლო წიგნიდან ამონაწერი; მებაღის წიგნაკი; „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილების შესაბამისად სოფლის (დაბის) ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებით შექმნილი მიწის რეფორმის კომისიის მიერ შედგენილი და სოფლის (დაბის) ყრილობაზე (საერთო კრებაზე) დამტკიცებული მიწების განაწილების სია (შემდგომ – განაწილების სია) თანდართული მიწის გამოყოფის გეგმით ან მის გარეშე;

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით სარგებლობისთვის გადასახადის გადამხდელთა სია; სახელმწიფო, ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ გაცემული მიწის ნაკვეთის მიმაგრების აქტი, ან მიწის ნაკვეთის გეგმა; სასამართლოს აქტი;

საქართველოს ეროვნულ არქივში ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს არქივში დაცული დოკუმენტი (მათ შორის, ბინის მეპატრონეთა წიგნის ჩანაწერი, მიწის საკადასტრო წიგნის ჩანაწერი) თანდართული მიწის გამოყოფის გეგმით, ან მის გარეშე; სარეგისტრაციო წარმოებისას მოძიებული/წარმოდგენილი სხვა შესაბამისი დოკუმენტი;

●

- რომელი ადმინისტრაციული ორგანო ახორციელებს სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში საკუთრების უფლების აღიარებას თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე?

- სისტემური რეგისტრაციის გეოგრაფიულ არეალში მდებარე თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებას უზრუნველყოფს „საჯარო რეესტრის ეროვნული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“. სააგენტო უფლებამოსილია, სისტემური რეგისტრაციის გეოგრაფიულ არეალში საკუთრების უფლება აღიაროს, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის გარდა, აგრეთვე თვითნებურად დაკავებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (სათიბის, სახნავის (მათ შორის, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული, საბაღე, საბოსტნე), ან საკარმიდამო კატეგორიის მიწის ნაკვეთზე) იმ შემთხვევაშიც, თუ მასზე განთავსებული არ არის შენობა-ნაგებობა, ან ის არ არის დაინტერესებული პირის საკუთრებაში, ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე მიწის ნაკვეთი. ამ შემთხვევაში, აღიარებული მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი ერთ ფიზიკურ პირზე, ან კომლზე (კომლის წევრებზე) ბარში არ უნდა აღემატებოდეს 1.25 ჰა-ს, ხოლო „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულ მაღალმთიან დასახლებაში – 5 ჰა-ს.

ტელ: 555 75-04-45

გთხოვთ, შეკითხვები გამოაგზავნოთ გაზეთის ელექტრონულ ფოსტაზე: saertogazeti@yahoo.com

ჩილოდან – აფრიკის სავანებსა და ვიეტნამის ჯუნგლებში

(გაგრძელება. დასაწყისი „სგ“ 8)

ჩემი მეუღლის სასიამოვნო საქმე იყო მარჯნების წარმოება. მათი ამოღება ადვილი არ არის, რადგან მარჯნები ზღვის სიღრმეში უფრო ვითარდებიან. როცა ვყვინთავდით, რაგინდ ღრმად ჩავსულიყავით, წყალი მაღლა გვაგდებდა. მომარჯვებული გვქონდა რკინის ლომები და სუნთქვაშეკრულები ვტეხდით მარჯანს — დღეში რამდენჯერმე ვყვინთავდით რომ დაუზიანებლად ამოგვეღო მარჯანი.

მარჯანი ფორიანი კარბონატია. ფორებში მიკროორგანიზმები ცხოვრობენ. ზღვიდან ამოღებულ მარჯნებს წყლიან ჭურჭელში ვაწყობდით და სამი დღე გვედგა მზეზე, მაღალ ტემპერატურაზე. ამ ხნის განმავლობაში ფორებში მცხოვრებები იხრწნებოდნენ. ამის შემდეგ ვრეცხავდით და რომ გაშრებოდა თვალისმომჭრელი თეთრი ფერი ჰქონდა — ძალიან ლამაზია. ჩემმა მეუღლემ წამოსვლისას აკურატულად ჩაალაგა მარჯნები ყუთებში, მაგრამ ხართუმში არაბები ისეთი უხეშები არიან, ბარგებზე ფეხით დადიოდნენ და ისროდნენ, სულ დაამტვრიეს რუდუნებით ჩალაგებული მარჯნები...

საღამოს პორტ-სუდანის ნავსადგურში ვისხედით და ვუყურებდით გემების მოძრაობას. ერთი კაცი შევნიშნეთ, რომელიც მანქანით მოდიოდა, ჩამოჯდებოდა და რაღაცას სვამდა ხოლმე. გამოგვეცნაურა და გავიგეთ, რომ ზრდასრული შვილები ჰყოლია, ამიტომ სახლში ვერ სვამდა ალკოჰოლურ სასმელს.

1976 წლის ივლისში, სამხედროების მიერ დაიგეგმა სუდანის პრეზიდენტის დამხობა. ოპერაცია უნდა განხორციელებულიყო პრეზიდენტის ვიზიტიდან დაბრუნებისას, ხართუმის აეროპორტში. ინფორმაციამ პრეზიდენტის მომხრეებში გაჟონა და აცნობეს პრეზიდენტს, რომელიც ამ დროს საფრანგეთში იმყოფებოდა. პრეზიდენტმა საფრანგეთში ვიზიტი შეწყვიტა და დაბრუნდა სუდანში. ამბოხების დაწყებამდე 15 წუთით ადრე დაჯდა თვითმფრინავი ხართუმის აეროპორტში და სასტიკად გაუსწორდა ამბოხებულებს, ბევრი დახვრიტა და ბევრი ციხეში ჩასვა.

სუდანის პრესაში გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირს გარკვეული წვლილი მიუძღვოდა პრეზიდენტის დამხობის მცდელობაში, რამაც ცუდად იმოქმედა ორ ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთობაზე. გაუქმდა ბევრი კონტრაქტი, მათ შორის გეოლოგიურიც, მხოლოდ რკინის საბადოზე დატოვეს პატარა ჯგუფი მარაგების გამოსათვლელად.

ხართუმში ჩავედით გამოსამგზავრებლად და კინაღამ დავიღუპეთ.

მე და ჩემი მეუღლე ქალაქში გავედით ფოტოაპარატით. ქალაქი სავსე იყო სამხედროებით. ლამის ცამდე აზიდული მეჩეთი შევნიშნეთ და მეუღლეს ვუთხარი, დადექი, ამ მეჩეთის ფონზე გადაგიღებ სურათს-მეთქი. გადავუღე და ამ დროს იღრიალა ერთმა ჯარისკაცმა და კონდახი ქვაფენილს დაარტყა, თან მანიშნა, მოდი აქო. ჩემი მეუღლე კინაღამ ჩაიკეცა შიშისგან. მოვასწარი მეთქვა, რომ სიტყვა არ დაეძრა რუსულად. ჯარისკაცი წინ წაგვიძღვა და გვანიშნა, წამოდითო. რაღაც შენობასთან მივედით. გამოვიდა კაცი სამოქალაქო ტანსაცმელში, რომელსაც პატაკი მისცა და ჩვენზე ანიშნა, თან ხელს მეჩეთისკენ იშვერდა. ჩემმა მეუღლემ გაჭირვების დროს გამოავლინა არაბულის ცოდნა, „მუმკინ მამუნკინ?“ — არ შეიძლებაო? — თან გაიღიმა. კაცმა რაღაც გვკითხა, ჩვენ ვერაფერი გავიგეთ. აგვათვალ-ჩაგვათვალიერა, აიქნია ხელი და გადავრჩით. თურმე, ეს მეჩეთი პრეზიდენტის რეზიდენციაში აშენებული პრეზიდენტის მეჩეთი ყოფილა. ჩვენ მართლა ძალიან შეგვეშინდა. საქმე ის არის, რომ წაგვართმევდნენ საბუთებს და გვაყურყუტებდნენ სადღაც, დამამცირებელ პირობებში გაურკვეველი დროით, თანაც საბჭოთა საელჩოში არ უყვარდათ თავიანთი მოქალაქეების დაცვა, ჩვენ დაგვადანაშაულებდნენ. შესაძლო იყო, ერთი ნეგატიური ფრაზა ჩაეწერათ და სამუდამოდ გამიფუჭდებოდა მომავლის პერსპექტივები. გადავრჩით, მარტივად გამოვედით ისლამის სამყაროდან.

ერთი კვირა დავრჩით ხართუმში, რადგან პრეზიდენტის დამხობის მცდელობის გამო „აეროფლოტს“ ხართუმის აეროპორტში დაჯდომის უფლება ჩამორთმეული ჰქონდა. ერთი კვირის შემდეგ „ბოინგით“ გადაგვისროლეს ეგვიპტის აეროპორტში. ჩვენთან ერთად მგზავრობდა სუდანის საელჩოს ორი დიპლომატი. პასპორტების ჩაბარებაზე მათ უარი განაცხადეს, რის გამოც დიდი შეხლა-შემოხლა მოხდა.

ცხელა, წყალი გვწყურია, მაგრამ ყიდვა არ შეგვიძლია, რადგან ჩვენმა საელჩომ ერთი ცენტიც კი არ მოგვცა ჩვენი ანგარიშიდან. ერთ ჩვენს თანამშრომელს პატარა ბავშვი ჰყავდა და მისთვის საპირფარეშოდან მოჰქონდა წყალი...

ძლივს შევძელით ქაიროში ჩვენს საელჩოსთან დაკავშირება. მოვიდნენ წარმომადგენლები, გვიპატრონეს, რესტორანში გვასადილეს და დაფრინდა კიდეც საღამოს მოსკოვის თვითმფრინავი ქაიროში, ორ საათში მოსკოვში ვიყავით.

ორი დღის შემდეგ სამინისტროში მივედი და მოვახსენე სუდანში არსებული მდგომარეობა. ჩემზე კარგი დახასიათება იყო მოსული სუდანიდან და ამჯერად მავრიტანიაში წასვლა შემომთავაზეს — სპილენძის საბადოების სპეციალისტი სჭირდებოდათ. მიუხედავად იმისა, რომ საველე სამუშაოები ბევრად მძიმე იქნებოდა, ვიდრე სუდანში, მაინც დავთანხმდი, თუმცა, მავრიტანიამ აღარ მოისურვა კონტრაქტის გაგრძელება და სამინისტრომ ირანში გამგზავრება შემომთავაზა. თანხმობა ვუთხარი და ესეც ჩაიშალა. მცირე ხანში მოზამბიკი შემომთავაზეს და დავთანხმდი. დაიწყო ახალი ორომტრიალი ჩრდილოეთ აფრიკიდან სამხრეთისკენ.

მოზამბიკი აფრიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ინდოეთის ოკეანესთან მდებარეობს, იმის გამო, რომ პორტუგალიის კოლონია იყო, მოსახლეობა, ძირითადად, კათოლიკეები არიან, ჩრდილოეთ ნაწილში ცხოვრობენ მუსლიმანები და არაბების ტიპის ხალხი.

სახელი „მოზამბიკი“ წარმოშობილია ვინმე არაბი მუსადან. მოზამბიკი 1975 წელს გახდა დამოუკიდებელი და მისი პირველი პრეზიდენტი ედუარდო მონდგლანე იყო. 1976 წლის 3 თებერვალს ფოსტით წიგნი მიიღო. ხელში აიღო, გადაშალა და აფეთქდა — ასაფეთქებელი იყო ჩამონტაჟებული. ხალხს უყვარდა თავისი პირველი პრეზიდენტი და დიდი მწუხარებით აღნიშნავდა მისი დაღუპვის თარიღს. იმ წიგნის ავტორი, რომლითაც ასაფეთქებელი გაუგზავნეს პრეზიდენტს, სამჯერ დაესწრო მისი ხსოვნის აღსანიშნავ საღამოს. მას ჰყავდა თეთრკანიანი ამერიკელი მეუღლე, რომელიც ჩვენი იქ ყოფნისას ქვეყნებთან კონტრაქტების დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა.

მოზამბიკის ტერიტორია ურთულესია გეოლოგიური აგებულების თვალსაზრისით, მაგრამ მდიდარია წიაღისეულით. მნიშვნელოვანია შავი, ფერადი, იშვიათი და კეთილშობილი მეტალების საბადოები.

სამინისტროში გამოვცხადდი და საგარეო ქვეყნებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსმა, ალექსანდრ კალიაჟნიკოვმა კონსულტანტების კონტრაქტის ხელმძღვანელობა შემომთავაზა. სუდანში ყოფნისას მივხვდი, რამდენად ძნელი და საპასუხისმგებლო იყო შემოთავაზება და სასტიკი უარი ვთქვი. კალიაჟნიკოვმა მითხრა, რომ განიხილეს ყველა წამსვლელი სპეციალისტის საქმე და არჩევანი ჩემზე შეაჩერეს — კარგი დახასიათება გაქვთ, თანაც ქართველ ხალხს ვენდობით, საქმეს არ უღალატებენ და თანამშრომლებთან კარგი ურთიერთობების დამყარებას ახერხებენ, რასაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს საზღვარგარეთ მუშაობის დროსო. წამიყვანა მინისტრის მოადგილესთან და დამარიგეს, რისთვის უნდა მიმექცია ძირითადი ყურადღება.

სანამ მოსკოვიდან მოზამბიკში ჩავფრინდებოდით, თვითმფრინავი ოთხჯერ დაჯდა: ვოლგოგრადში, ქაიროში, სანასა და დარ-ალ-სალამში საწვავით იტვირთებოდა, ჩვენ — პროდუქტებით. ეკვატორი რომ გადავკვეთეთ, სტიუარდესამ მოგვილოცა და ეკვატორის გადაკვეთის დამადასტურებელი სპეციალური სიგელები და ნიშნები გადმოგვცეს.

მაია ჭელიძე

(გაგრძელება იქნება)

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 555 33-44-14; 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99